პროლეტარებო მეჯლის ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ს. ტ. ბ.
ცენტრ. და თბილისის კომი. ტეტის და ტრულ. საძარ. ბ., ბ., ს.-არმ. და მატარებელთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4.

მთავარი პანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან. პროვინციაში 12,000 მან.

№ 142 კვირა, 25 ივნისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი კვირა, 25 ივნისი 1922 წ. № 142

საქართველოს კომპარტიის კონფერენცია

ამა წლის ივნისის 25-ს მოწვეულია პირველი პარტიული კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება მე 11 ყრილობაზე და საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები;
2) მოხსენება გენუის კონფერენციის შესახებ;
3) მოხსენებები ადგილებიდან;
4) მუშაობა პროფკავშირთა შორის;
5) მუშაობა ახალგაზრდათა შორის;
6) საორგანიზაციო აღმშენებლობა;
7) საფინანსო პოლიტიკა;
8) მიმდინარე საქმეები.

ცეკას ხეკრეტარიატი.

ტფილისის პირველ აღმასრულებელ კომიტეტის

უკანასკნელი სხდომა

დანიშნულია ორშაბათს 26 ივნისს საღამოს სრულ 5 საათზე.

ყველა წევრის დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობის და მის პერსპექტივების შესახებ.
2. მოხსენება ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის ტეხნიკურ საშუალებათა სპეციფიკაციის შესახებ.

1—1 მდივანი **მეხხი.**

კვირას, 25 ივნისს, საღამოს 8 საათზე ავლაბრის თეატრის შენობაში (კახეთის მოედანი) გაიმართება

მიტინგი—კონცერტი

მესამე რაიონის მუშა-მოსამსახურეთათვის,

კონცერტის წინ გენუას კონფერენციის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. **ბუდუ მდივანი.**

საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპოგანდო განყოფილება.

საქართ. პროფკავშირთა საბჭოს კულტურული განყოფილება.

ისევ ესერების პროცესის გამო

მოსკოვში გრძელდება მემარჯვენე სოციალისტ-რევოლიუციონერების პროცესი. ჩვენ უკვე რამოდენიმეჯერ შეეხეთ ამ პროცესის მნიშვნელობას და შესაძლებელ შედეგებს.

ამ ბოლო დღეებში ბევრი რამ ფრიად საყურადღებო, რაც იმთავიდანვეც ცხადი იყო ჩვენთვის, საჯაროდ და ყველასათვის თვალსაჩინოდ გამოაშკარავდა.

როგორც წინედაც გვქონდა აღნიშნული, ბრალდებულთა სკამზე დასმული ესერები ორ კატეგორიად გაიყვნენ: ერთი, ესერების ხელმძღვანელებისაგან მოტყუებული, მეტ წილად ქვედა-ფენებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც მონანიების გზას ადგია, თავს დამნაშავედ აღიარებს რევოლიუციის და მძრომელთა წინაშე და გმობს თავის წინანდელ მოქმედებას. მეორე ჯგუფისაა ესერების პარტიის ზედა წრეები, მათი ცენტრალური კომიტეტი, რომელიც შეგნებულად ემსახურებოდა კონტრ-რევოლიუციის საქმეს.

მათი დაკითხვის დროს სავსებით გამოირკვა, რომ ისინი არა მარტო იყვნენ გაბოროტებული კონტრ-რევოლიუციონერები და იარაღით ხელში იბრძოდნენ პროლეტარიატის ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ ასევითვე გაუსწორებელნი დარჩნენ დღესაც და განძრახვა აქვთ შემდეგშიაც ძველებურად „ემსახურონ რევოლიუციას“, ე. ი. განაგრძონ ყველა საშუალებებით ბრძოლა მუშათა კლასის ძალა-უფლების დასამხობად. ამ, თავზე ხელ აღებულ ხალხს საკმარისად არ მიაჩნია ის განუზომელი ვნება, რომელიც დღევანდლამდე მიაყენეს საბჭოთა რესპუბლიკის პროლეტარიატს, ისინი არ კმაყოფილდებიან ათეულ ათას მუშათა უმანკო სისხლით, რომელიც დაიღვარა მათი წყალობით, ცოტად თვლიან იმ აუარებელ მსხვერპლს, რომელიც მათმა მოქმედებამ გააღებინა მშრომელ მასსებს და აი, ისინი გვპირდებიან ბრძოლის უფრო მეტის ენერგიით გაგრძელებას, მუშათა კლასის საქმის დასამარხავად და მშობლიურ და საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის სადიდებლად.

მათ ცინიკურად განაცხადეს პროცესზე, რომ მიუძღვით ერთად ერთი „დანაშაული“ რევოლიუციის და პროლეტარიატის წინაშე, ეს ის, რომ საკმაო ენერგიით ვერ შესძლეს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებასთან, მაგრამ მომავალში შეეცდებიან გამოისყიდონ ეს „დანაშაული“.

ამგვარად, მათ ისევ სწყურიათ მუშათა კლასის სისხლი, მისი ჩახრჩობა მასში; ისინი კვლავ გვევლინებიან სამოქალაქო ომის მოციქულებად.

სასაცილო იყო და მასთან იდიოტური ამ ვაჟბატონების ცდა, დამსგავსებოდენ ძველ რევოლიუციონერებს, რომელნიც მეფის რეჟიმის მიერ გასამართლების დროს სააგიტაციო სიტყვებით გამოდიოდნენ არსებული წყობილების წინააღმდეგ. ეს უკანასკნელნი ალბად საფლავშიაც შეინძრეოდნენ, რომ შესწევდეთ ცნობიერების და მოძრაობის ძალა, რომ ასე შეურაცყოფენ ჭეშმარიტ რევოლიუციონერებს, რომ ასე უადგილოდ და კარიკატურულად ბაძავენ მათ მათი ულირსი მემკვიდრენი. იმათ რომ მუშათა კლასის სამსხვერპლოზე მიჰქონდათ თავი სულთამხუთავი თვითმპყრობელურ რეჟიმის წინააღმდეგ; ესერებმა კი შესცვალეს როლი და სწორედ მშრომელი მასების წინააღმდეგ ილაშქრებენ, კაპიტალისტების და მემამულეების გასამტონებლად.

მას შემდეგ, რაც ასეთი გულახდილი, „გმირული“ განცხადება გააკეთეს გაუსწორებელმა ესერებმა და როცა, ამასთან ერთად, სავსებით დამტკიცდა, როგორც მასალების მიხედვით და მოწმეების ჩვენებით, ისე ბრალდებულთა აღიარებით, მთელი ის გამანადგურებელი ბრალდება, რომელსაც უყენებს მათ რევოლიუციონური სასამართლო,—ცხადი შეიქნა ესერების პროცესის აუცილებელი შედეგი—რევოლიუციონური კანონების მთელი სიმკაცრით დასჯა მათი, როგორც უბოროტესი კონტრ-რევოლიუციონერების და მშრომელი ხალხის მოსისხლე მტრების.

პროცესის მსვლელობამ ცხადყო, რომ ესერების დაცვას ვერ მოაბერხებდა ისეთი გამოჩენილი და მჭერმეტყველი იურისტიც, როგორიც ბრძანდება ბ. ვანდერველდე.

ვანდერველდეს და კომპანიის მიზანი იმ თავითვე იმაში მდგომარეობდა, რომ ესერების მაგიერ ბრალდებულთა სკამზე დაესვა პროლეტარული რევოლიუცია და საბჭოთა ხელისუფლება და სახელი გაეტეხა მისთვის საერთაშორისო მუშათა კლასის თვალში. მაგრამ ბურჟუაზიის ამ აგენტებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ისინი ანგარიშში მწარედ მოსტყუვდნენ. ესერების დანაშაული იმდენად მეტყველი აღმოჩნდა თავის თავად და საბჭოთა ხელისუფლების სიმართლე იმდენად თვალსაჩინო, რომ ამ უცხოელმა დამცველებმა არამც თუ ვერ შესძლეს ესერების ხსნა, არამედ თვითონაც, როგორც ასეთ ბოროტმომქმედი ხალხის დამცველებმა, საბოლოოდ გაიტეხეს სახელი და საჯაროდ ნათელ ყვეს, რომ ესერებთან ერთად ისინიც უბოროტესი მტრებია მშრომელების და პროლეტარულ რევოლიუციის.

მათ იწყეს გამოსავლის ძებნა. ცდილობდნენ პროცესის ჩაშლას და გაილაშქრეს საბჭოთა სასამართლოს წინააღმდეგ. ამასთან ისინი ავრცელებდნენ ხმებს, თითქოს მათ ხელს უშლიან და დაცვის საშუალებას არ აძლევენ.

მაგრამ ამით ფონს ვერ გავიდნენ. ეს განაჩენი იქნებოდა არა მარტო ესერების გამტყუნება და დასჯა, არამედ მათი დამცველების სრული მორალური დასამარება. მათ ისევ წინდაწინ არჩიეს გაპარვა...

მეორე მხრივ, ეს გაქცევა მათ საშუალებას მისცემს გააჩაღონ ევროპაში კამპანია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელსაც თითქო შეეშინდა მათი და რომელმაც საშუალება არ მისცა დაეცვათ „რევოლიუციონერი და კეთილშობილი“ ხალხი, ესერები. ისინი შეეცდებიან დასცინ საბჭოთა მთავრობის სახელი, შეარყიონ მისი საერთაშორისო პოზიცია. სწორედ ეს ესაჭირება მსოფლიო ბურჟუაზიას, რომელიც ამ ჟამად ჰაგიის თათბირზე ცდილობს საბჭოთა რესპუბლიკას მძიმე უღელი დააღოს. ამ შემთხვევაში ვანდერველდე და მისი კოლეგები პირნათლად ასრულებენ იმპერიალიზმის ერთგული აგენტის როლს.

მაგრამ უნდა იცოდნენ ბურჟუაზიის ამ აგენტებმა და მუშათა კლასის ყველა მტრებმა, რომ ვერც დამცველების გაქცევა, ვერც მათი პროვოკაცია ვერ შესძლებს საბჭოთა რესპუბლიკის შერყევას. ეს ფაქტი მხოლოდ ზედმეტჯერ ადასტურებს მათ მოღალატეობას მუშათა კლასის საქმისადმი, რაც გამოიხატა მათ სრულ სოლიდარობაში ესერებისადმი, რომელნიც არიან რევოლიუციის და მშრომელი ხალხის დაუძინებელი მტრები და შემდეგისათვის „გვპირდებიან“ ასეთი როლის გაგრძელებას.

სასამართლო უცხოელ დამცველების დაუსწრებლადაც გაარჩევს ამ გაუსწორებელი ხალხის საქმეს და გამოუტანს მათ ისეთ სასტიკ, მაგრამ სრულიად დიმახურებულ განაჩენს, რანაირსაც მოითხოვს საბჭოთა რუსეთის მთელი მუშათა კლასი. ამ ხალხს ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოესპოს საშუალება სამოქალაქო ომის წარმოების, მშრომელი ხალხის ზურგში ლახვარის ჩაცემის. ამას მოითხოვს რევოლიუციის ინტერესები, ამას მოითხოვს პროლეტარიატის აღშფოთებული სინდისი.

პრესა

„გზა მშვიდობისა“!

რუსეთის „სოციალისტ-რევოლიუციონერების“ პროცესი ბუნებრივია თავის საქმეთ გამოაცხადა ევროპის ბურჟუაზიამ, რომელიც ეხმარებოდა მათ მატერიალურათ რევოლიუციასთან ბრძოლაში და (ძმა ძმისთვინაო, შავი დღისთვინაო!) მიუშველა ტერორისტებს დასაცავათ, მოსკოვში თავის აგენტების გაგზავნით. ესენი არიან მეორე და მეორე ნახევარი ინტერნაციონალის წარმომადგენლები: ვანდერველდე, როზენფელდი და ერთი პიროვნება, რომელიც ატარებს ლიბკნეხტის გვარს. მაგრამ პროცესმა უმაღლეს ტრიბუნალში, საქმეების ვითარების გაცნობამ, მოწმეთა ჩვენებამ და უდავო მამხილებელი მასალების გამოქვეყნებამ დაარწმუნა რეაქციის მოციქულები, რომ მათი საქმე წაგებულია, რომ ისედაც გასვრილ თავიანთ ინტერნაციონალებს ისინი ითრევენ ისეთ წუმპეში, რომლიდანაც ადვილათ ვერ გამოსტოპავენ და რისთვისაც ბოლოს და ბოლოს პასუხი ექნებათ საგები მათ მიმდევართა მიმართ. ეს იყო მიზეზი იმისი, რომ დამცველებმა თავი გაანებეს ესერების დაცვას და მოკურცხლეს. მოსკოვის „იზვესტია“ სწერს ამის შესახებ შემდეგს:

„უნდა ითქვას, რომ ამ სკანდალისთვის მათ შეარჩიეს ძალიან შეუფერებელი დრო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვითონ გრძნობენ ამას. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მათი მდგომარეობა დღითი დღე ხდებოდა აუტანელი, რომ არ ვთქვათ გამოუვალი. როდესაც ისინი მოსკოვში მიდიოდნენ, ფიქრობდნენ, რომ უმაღლესი რევტრიბუნალი მისცემდა მათ შემთხვევას დემონსტრატიულათ წასვლისათვის ხელსაყრელ მიზეზისას. მაგრამ რევოლიუციონური ტრიბუნალის ქცევამ ნიადაგი გამოაცალა მათ და მოუსპო საშუალება განეხორციელებიათ თავიანთი განზრახვა ისე, როგორც მათთვის იქნებოდა ეს გამოსადეგი. მათ მიიღეს მოსკოვში არა მარტო თავისუფლება დაცვის, არამედ სასკანდალო დემონსტრაციების მოხდენისაც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. და ამნაირათ რადგან მათ აღარ მიეცა მოხერხებული შემთხვევა, ამიტომ სცადეს მისი გამონახვა“...

ამავე საკითხს ეხება მოსკოვის სხვა გაზეთებთან ერთათ „პრავდაც“. ის კითხულობს, რატომ სტოვებენ დამცველები ბრალდებულთ და უპასუხებს:

„ბ.ბ. ვანდერველდე, როზენფელდი და ლიბკნეხტი, შეისწავლეს რა მათ, ესერების საქმე, იმ დასკვნამდი მივიდნენ, რომ პროცესში დამტკიცდება სრული დანაშაულობა ესერების პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებულ შეიარაღებულ ბრძოლაში, დანაშაულობა მკვლელობის მოწყობაში და მოკავშირე სახელმწიფოებისაგან ფულის მიღებაში. დარწმუნდნენ რა ამაში, ვანდერველდემ, ლიბკნეხტმა და როზენფელდმა გადაწყვიტეს არ დაესწრონ ამის გამოაშკარავებას, რადგან ამ დანაშაულობის დაცვით ისინი იძულებული იქნებოდნენ აეღოთ თავის თავზე და მით მეორე და მეორე ნახევარ ინტერნაციონალზე პასუხისმგებელობა ესერებისთვის და ამის შეეშინდათ. ამიტომ ვანდერველდემ და მისმა თანაშემწეებმა სთხოვეს ესერებს გაენთავისუფლებიათ ისინი. ხოლო დაპირდნენ კი, რომ საზღვარ გარეთ ასტეხენ ხმაურობას და ყვირილს ამ საქმის შესახებ“.

მიუხედავათ ამ „ხმაურობისა“, ჩვენი ამხანაგები უცხოეთში მოახერხებენ გააშუქონ ამ საქმის ჭეშმარიტი შინაარსი და ენა ჩაადებინონ იმპერიალიზმის აგენტებს.

არჩევნები თბილისის საბჭოში

მეტყავეთა შორის

ლენინის სახელობის ტყავის ქარხანაში.

ლენინის სახელობის (ყოფ. ადელხანოვის) ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე 22 ივნისს თბილისის საბჭოს საპატიო წევრათ არჩეულ იქნა ამხ. ლენინი. საბჭოს წევრებათ: 1 ბუდუ მდივანი, 2. ერვანდ არიბეკოვი (კომუნისტი), 3. სერგაქ სააკოვი (კომუნისტი), 4. ლადო ფხაკაძე (უპარტიო), 5. გერ. ეგნაზაროვი (კომუნისტი) და 6. ეგიშე გარიჯანოვი (კომუნისტი); მათ კანდიტატებათ: 1. გრ. ზურაბოვი, 2. სარქისოვი, 3. კილიასკაიას ქალი.

მასანტოკვის, ზარგარიანის და სხ. ქარხნებში.

23 ივნისს მეტყავეებმა საერთო კრებაზე თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს წევრებათ აირჩიეს ამხ.: არშაკ აგაჯანოვი, 2. ტ. გარიბჯანოვი. კანდიტატათ. სტ. გოზალოვი.

სადგურ ნავთლულში

სადგურ ნავთლულის მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებამ თბილისის საბჭოს წევრებათ აირჩია ამხ.ნაგები: 1. მიშა ოკუჯავა, 2. მალაქია ტოროშელიძე, 3. ლომაია, 4. ბოკერია, 5. ჯორბენაძე, 6. მიანიკოვი, 7. ბურკაძე (უპარტიო), 8. ნადირაშვილი, 9 პირალოვი, 10. მგალობლიშვილი, 11. არაქელოვი, 12. მალალაძე (უპარტიო). მათ კანდიტატებათ: 1. ქართველიშვილი (უპარტიო), 2. ჩაჩანეიშვილი (უპარტიო).

ქალაქის სასაკლაოზე

ქალაქის სასაკლაოს წარმოებათა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებაზე თბილისის საბჭოს წევრებათ აირჩიულ იქნენ ამხანაგები: 1. აგაბაბოვი, 2. ბარამიძე, 3. ნოვრუზოვი, 4. გრიშაკოვი; და მათ კანდიტატებათ: 1. პისკოხა (უპარტიო), 2. ნადირაშვილი (უპარტიო).

ქარხნებში

(მეექვსე კომისარიატი)

ხოშტარიას, ქალაქია კავშირის და საკონსერვო ქარხნებისა და მე-6 კომისარიატის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებამ აირჩია საბჭოს დეპუტატებათ ამხანაგები: 1. ამბ. გუდულავი, 2 ჭიმოვკი, 3. ადამოვი. კანდიტატათ: ბურიკინი.

სახალხ. კვების პავშირში

სახალხო კვების მუშა მოსამსახურეებმა საბჭოს წევრებათ აირჩიეს: 1. სანდრო თუმანოვი, 2. მამედ-ალიოღლი. კანდიტატათ: აზიზ აზილზადე.

„ამპერის“ ქარხანაში

მე-5 კომისარიატის და „ამპერის“ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე 23 ივნისს დეპუტატებად არჩეულ იქნენ ამხ.: 1. აბბას გაჯიბეკოვი. კანდიტატეთ: ადელაშვილი (უპარტიო).

ყველა ზემო ჩამოთვლილ წარმოებათა და დაწესებულებათა საერთო კრებებზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ნაკაზი-ერთხმად იქნა მიღებული.

რადიო-დეპეშები

ესერების პროცესი

დამნაშავეთა დამცველი მურავიოვის სიტყვა

მოსკოვი. 24 ივნისი (რადიო). 22 ივნისს საღამოს სხდომის დასასრულს ტრიბუნალმა მისცა სიტყვა დამცველს მურავიოვს დამნაშავეთა პირველი ჯგუფის ფორმალური განცხადებისათვის. მურავიოვი ლაპარაკობს, რომ 20 ივნისის საღამოს სხდომაზე მოსკოვის და პიტერის მუშების დელეგაციის გამოცხადებამ ფორმალური მხრივ ჩაშალა მთელი პროცესუალური (დამახინჯებულია).. საბჭოთა რესპუბლიკის. დამცველი შუამდგომლობს ოქმში სტენოგრამიდან იმ ადგილების შეტანის შესახებ, რომლებიც ეხება სხდომის ამ ნაწილს. მურავიოვი ყოფს ამას სამ კატეგორიათ: პირველ კატეგორიას ის აკუთვნებს მუშების განცხადებებს, რომლებიც, მისი აზრით, ატარებს მოწმეების ცალკე დ კოლექტიურ ჩვენებების ხასიათს. მურავიოვი თითონ უარყოფს ამად ახასიათებს დეკლარაციის ზოგიერთ ადგილებს, რომლებიც ეხება ესერების ბოროტ მოქმედებებს მუშათა კლასის მიმართ. მეორე კატეგორიას მურავიოვი აწერს მუშების მოთხოვნებს დეკლარაციის სახით ბრალდებულების სასტიკად დასჯის შესახებ, როგორც მუშათა კლასის უბოროტესი მტრებისას. დამცველი ხედავს ამაში სასამართლოზე გავლენის მოხდენას მუშების მხრივ. ბოლოს მურავიოვს მოყავს მესამე კატეგორია, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები: „მუშათა კლასის გამცემლები, ბურჟუაზიის ლაქიები“ და სხვ. ამის შემდეგ მურავიოვი შუამდგომლობს შეეტანონ ოქმში, რომ დემონსტრაცია მოწყობილი იყო რუსეთის კომპარტიის და მოსკოვის პროფორგანიზაციების მიერ და ატარებდა აშკარა პოლიტიკურ ხასიათს. კრილენკოს და პიატაკოვის დემონსტრაციაზე გამოსვლაში მურავიოვი ხედავს პროცესუალურ კანონების ფორმალურ დარღვევას. მურავიოვს განცხადების ეს ნაწილი გავდა ბურჟუაზიული იურისტის ლექციას იურისპუნდენციიდან.

თავისი განცხადების ბოლოს მურავიოვი ეყრდნობა რა უზენაეს ტრიბუნალის ნაკაზის მე 8 მუხლს დასკვნას, რომ პროცესის მიმდინარეობაში გარეშე ელემენტების, ე. ი. მუშების დელეგაციის ჩარევა წინასწარ სახელს უტეხს ტრიბუნალის მომავალ გადაწყვეტილებას და ართმევს მას კანონის ძალას. ამიტომ მურავიოვი დამცველი მხარის სახელით შუამდგომლობს, რომ პროცესი შეწყვეტილ იქნეს და საქმის მოსმენა განახლებულ იქნეს უზენაესი ტრიბუნალის ახალი შემადგენლობით, და ახალი სახელმწიფო ბრალმდებლის მონაწილეობით,

გრალდეგული გენდელმანის სიტყვა.

მურავიოვის შემდეგ გამოდის ბრალდებული გენდელმანი, რომელიც ამბობს: „დეიმონ ტრაციამ მოსკოვის ქუჩებზე და სასამართლოს დარბაზში გვაჩვენა, რომ ამ პროცესს აქვს პოლიტიკური შინაარსი. ასამართლებენ არა ცალკე პირებს, არამედ ესერების მთელ პარტიას“. გენდელმანი ფიქრობს, რომ ესერების გასამართლება შეუძლია მხოლოდ რუსეთის მუშათა კლასს და საერთაშორისო პროლეტარიატს და აგრეთვე ისტორიას. გენდელმანი დემაგოგიურად აცხადებს, რომ თუმცა ესერებმა იციან, რომ სასჯელი მათთვის წინასწარ გადაწყვეტილია, მაგრამ ისინი რჩებიან, პროცესში ბოლომდის იმ მიზნით, რათა გამოირკვას პოზიცია (დამახინჯებულია).

კრილენკოს სიტყვა

დამცველ მურავიოვის საწინააღმდეგოთ გამოდის კრილენკო ის გამოსთქვამს განცვიფრებას, თუ რა საჭირო იყო ასეთი გრძელი შესავალი შუამდგომლობის უბრალო დასაბუთებისათვის, რომ ოქმში შეტანილი ოფიციალიყო სტენოგრამის ზოგიერთი ადგილები. შუამდგომლობის ამ ნაწილის წინააღმდეგ არავინ არ გამოვიდოდა. პირადად ის, კრილენკო, ამის წინააღმდეგ არ ილაშქრებს, რადგანაც ეს შეადგენს მხარეების უდავო უფლებას.

კრილენკო კატეგორიულად წინააღმდეგია ოქმში იმ ფაქტების შეტანისა, რომელსაც ადგილი ქონდა სასამართლოს გარეთ. რომ მოვისურვოთ, აცხადებს კრილენკო, იმის შეტანა ოქმში, რაც ხდება სასამართლოს გარეთ, მაშინ მასალა ძალიერ ბევრი გვექნებოდა“. თავისი სიტყვის მეორე ნაწილში კრილენკო თანდათანობით არღვევს მურავიოვის მიერ მოხერხებულად მოფიქრილი იურიდიული გამოვლას.

კრილენკო ამბობს, რომ ფორმალური მხრით, ასეთი შემთხვევები, როგორც მუშათა დელეგაციის დაშვება, რომელსაც ადგილი ჰქონია 20 ივნისს, არ არის გათვალისწინებული რესპუბლიკის კანონებში მის მიერ მაგრამ საბჭოთა სახელმწიფოს და მის დაწესებულების ხასიათის და არსების მიხედვით, სხდომებზე მუშათა დელეგაციის გამოსვლა საესებით წესიერია.

კრილენკოს მოჰყავს თავმჯდომარის სტატიები, რომელიც მიმართული იყო მუშათა დელეგაციისადმი: ბევრი ის, რაც აქ იყო თქმული შეიძლება არ იყოს მართალი, შეიძლება დამტკიცებული იყოს სასამართლოს მიერ გამოძიებულ ცნობებით, მაგრამ შეიძლება აგრეთვე დაუმტკიცებელიც იყოს.

ჩვენ შევამოწმებთ ამ ფაქტებს და გამოვიტანთ სამართლიან სასჯელს. კრილენკო ამბობს, რომ თავმჯდომარის ამ სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ ტრიბუნალი სასჯელის განაჩენის დროს იხელმძღვანელებს მხოლოდ სასამართლოში შემოწმებულ ფაქტებით. არ გვაქვს არავითარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ განაჩენი იქნება სასიამოვნო. ტრიბუნალი გამოარკვევს ფაქტებს, განსაზღვრავს თითეული ბრალდებულის დანაშაულს ცალკე და ამის მიხედვით გამოიტანს სასჯელის განაჩენს, სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლებთან შეფარდებით.

კრილენკო განაგრძობს: კანონებში დაწვრილებით არის ნაჩვენები თითეულ დანაშაულისათვის სასჯელის ხასიათი; ტრიბუნალს არ შეუძლია ამას გადაუხვიოს. მაშასადამე ლაპარაკიც არ შეიძლება სასჯელის გადიდების ან შემცირების შესახებ ვისიმე გავლენით. გასაკვირალად მიაჩნია დამცველების სურვილი, წინდაწინ სახელი გაუტეხონ სასჯელის განაჩენს.

ბრალდებულ გენდელგანის საპასუხოთ კრილენკო აცხადებს: სახელმწიფო, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში აუტანელ პირობებში ებრძოდა თავის მტრებს და დაამარცხა ისინი, განამტკიცა თავისი ხელისუფლება, აიძულა თვით კაპიტალისტური სახელმწიფოები პატივი ეცათ მისთვის, ასეთ პროლეტარულ სახელმწიფოს უფლება აქვს სასამართლოში მისცეს ყველა ისინი, რომლებიც ხელს უშლიდვენ მას შეექმნა და განემტკიცებია თავისი ძალა უფლება. როგორც წარმომადგენელი საბრალმდებლო ზედამხედველობის, სთქვა კრილენკომ, მე ვაცხადებ, რომ სახელმწიფო, რომელსაც აქვს კანონები, მოვალეა მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ამ კანონების დამრღვევი პირები.

გენდელმანი აღნიშნავს, რომ ჩვენ ისტორია გაგვასამართლებსო. ისტორიის თვალსაზრისით მე ვსთვლი საკითხს გადაწყვეტილად. რუსეთის პროლეტარიატზე და გლეხობაზე დაყრდნობილი საბჭოთა სახელმწიფოს განუწყვეტელ ბრძოლაში არსებობის ხუთმა წელმა დაგვანახვა ვის მხარეზედაც არის ისტორია. ისტორიამ გამოიტანა თავისი განაჩენი არა თქვენდა სასარგებლოდო ათაყებს კრილენკო, მიმართავს რა ბრალდებულებს.

მეორე ჯგუფის დამცველი ფელიქს კონის სიტყვა.

მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა მეორე ჯგუფის დამცველმა ფელიქს კონმა. მისმა სიტყვამ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება და არა ერთხელ იფარებოდა იგი დამსწრე საზოგადოების მეუხარე ტაშისცემით. კონი ამბობს, რომ დამცველები მოითხოვენ სასამართლოს თვითკასტრაციას ტ თვითმკვლელობას. „ვინ შეეტანა პირველად ებლანდელ პროცესში პოლიტიკური ნაკადი—იკითხეს კონი, ვინ მიუთითა ბერლინის შეთანხმებაზე, ვინ შეეცდა ამ შეთანხმებით ზეგავლენა მოეხდინა ტრიბუნალის მომავალ განაჩენზე. ვინ დერველდე წაკიდა მაგრამ ის კვლავ განაგრძობს დამცველთა სკამებზე ჯდომას „და თუ სასამართლოს განაჩენზე, აღტკინებით ამბობს კონი, გავლენას ახდენენ მოსკოვის და პეტროგრადის მუშები, პირველი ჯგუფის დამცველებს ეს მიაჩნიათ დაუშვებლად, მაშინ კი როდისაც სასამართლოს განაჩენზე გავლენას ახდენს ბელგიის მეფის მინისტრი ვანდერველდე, ამის წინააღმდეგ დამცველები არაფერს ამბობენ.

სასამართლოს პირველ დღეებში ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ ისინი არ სცნობენ უმაღლეს ტრიბუნალის სასამართლოს და მზად არიან ეძიონ სამართალი მუშათა სასამართლოში. როდესაც მოსკოვის და პეტროგრადის მუშებმა გაგზავნეს თავიანთი დელეგატები და გამოიტანეს განაჩენი, ბრალდებულთ ეს დაუშვებლად მიაჩნიათ, რად არის თანდათანობა, რა საჭიროა ლამაზი ფრაზები? დამცველები ამტკიცებენ რომ მუშები 2 ნახევ. საათის განმავლობაში შეურაცხყოფას აყენებდენ ბრალდებულებს, მაგრამ როდესაც ბრალდებულების პირველი ჯგუფი სისტემატიურად აყენებს შეურაცხყოფას ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფ მეორე ჯგუფს, მაშინ პირველი ჯგუფის დამცველები გაჩუმებულნი არიან.

აქ ორი საზომია: ერთის შეურაცხყოფა დასაშვებია, მეორესი არა".

მურავიოვის საპასუხო გამოსვლა.

მურავიოვი სოციალისტ შეანუსტოს ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა კრილენკოს და კონის სიტყვებმა, რასაც ის ვერ ახერხებს. ის კითხულობს მთელ ლექციას კანონების და კანონიერების შესახებ და ბოლოს ხმის ამაღლებით ამბობს: „ვაი იმ ქვეყანას და იმ ხალხს, სადაც კანონებს არ სცემენ პატივს და დასცინიან იმ ადამიანებს, რომლებიც იცავენ ამ კანონს".

ვინაიდან მურავიოვის სიტყვაში მოსჩანდა შეურაცხყოფა, რომელიც გადასროლილი იყო რუსეთის ხალხის მიმართ, თავმჯდომარემ თავის მოვალეობად ჩასთვალა მოეწოდებინა დამცველი წესრიგისაკენ.

სხდომა იხურება დაახლოებით ღამის 4 საათზე.

ამხ. რადეკი ესერების პროცესის შესახებ

მოსკოვი. 23 ივნისი (რადიო). მეორე სტამბისა და გაზ. „პრავდისა" და „იზვესტიას" თანამშრომელთა გაერთიანებულ კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. რადეკმა, რომელმაც შემდეგი განაცხადა: „ესერების პროცესი დიდათ საინტერესოა არა მარტო მისი სენსაციობის მხრივ, არამედ მისი დრამატიულობის მხრითაც. ბრალდებულთა სკამზე ზის პარტია, რომელიც გაიყო ორ მოპირდაპირე ჯგუფად: ერთ-ერთ მათგანში იმყოფება ძმა, მეორეში კი და". ამხ. რადეკი სვამს ორ კითხვას: რატომ ასამართლებენ იმათ, ვისაც აქვს რამოდენიმე წლების კატორღის სტაჟი და რომელნიც გაბედულათ ებრძოდენ ცარიზმს. ამ ჟამად ასამართლებენ მათ (დამახინჯებულია)... საბჭოთა ხელისუფლებას წარსულში (გამოტოვებულია)... ამხ. რადეკი ამბობს: ესერები იღებდენ რა მონაწილეობას ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაინც არ იყვენ წარმომადგენლები პროლეტარიატის ავანგარდისა (გამოტოვებულია)... ესერები კატეგორიულად უარყოფდენ რა ჩვენ პრინციპებს (დამახინჯებულია)... რევოლიუციის დასაწყისში ესერებს მისდევდა უმრავლესობა, ვინაიდან ყველა ნაბულობდა ესერების პროგრამაში თავის პროგრამის ნაწილს. ესერებმა ვერც შესძლეს ომის ლიკვიდაცია, ვინაიდან ისინი განუყრელად დაკავშირებულნი იყვენ ბურჟუაზიასთან, რომელიც ემუქრებოდა მათ ფინანსიური ბოიკოტით. დაუკავშირდენ რა ომს, ესერებს აღარ შეეძლოთ მიეცათ გლეხობისათვის დაპირებული მიწა, რადგანაც იგი უნდა ჩამოერთმიათ გენერლებისათვის, ხოლო ესენი კი ამ შემთხვევაში უარს იტყოდენ ესერებთან ერთად ბრძოლაზე. ამ პოზიციის შედეგები ჩვენ უკვე ვიცით: ესერების ხელის უფლება დაიმხო. როდესაც ხელისუფლება გადავიდა მუშათა ხელში, ესერებმა მოაწყვეს შეიარაღებული აჯანყება (დასასრული არ არის მიღებული).

ჰაგის კონფერენცია

ქვე-კომისიის დაარსება.

ბორდო. 23 ივნისი. (რადიო). დაარსებულია სამი ქვე-კომისია: კრედიტის, ვალების და კერძო საკუთრების. კერძო საკუთრების კომისია ფილიპ გრენეს თავმჯდომარეობით იხილავდა მუშაობის წესებს.

პირველად ცალკე.

ბორდო. 23 ივნისი. (რადიო). პრინციპად არის მიღებული რომ ყველა საკითხები გადაეცემა რუსეთის დელეგაციას განსახილველად მხოლოდ იმის შემდეგ, როცა მათ შესახებ იქნება მიღწეული სრული შეთანხმება მოკავშირეების ექსპერტებთა შორის.

ჰაგის კომისიის შემადგენლობა.

მოსკოვი. 23 ივნისი. (რადიო) გაზ, „დეილი ტელეგრაფი" იუწყება ჰაგაში მყოფ 3 არა რუსული კომისიის შემადგენლობის შესახებ. კომისიაში კერძო საკუთრების შესახებ, შედიან: ბელგია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, იაპონია, ფინეთი, ნორვეგია, ჰოლანდია, რუმინია, შვეიცია და შვეიცარია. კომისიაში რუსეთის ვალების შესახებ შედიან: ბელგია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, იაპონია, დანია, ლიტვა, ჰოლანდია, სერბია და შვეიცარია. კომისიაში, რუსეთისათვის სესხის მიცემის შესახებ შედიან: ბელგია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, იაპონია, ბულგარეთი, ესტონეთი, საბერძნეთი, ლატვია, ჰოლონეთი და ჩეხო სლოვაკია.

გაზეთი ხაზს უსვამს იმას, რომ საფრანგეთი დასთანხმდა გაგზავნოს კომისიაში თავისი წარმომადგენელები, განაცხადა რა წინასწარ უარი იმაზე, რომ არ იქნება განხილული რუსეთის დელეგატებთან ერთად პოლიტიკური საკითხები. ყველა გადაწყვეტილებანი საჭიროებენ საფრანგეთის მოწონებას ვიდრე ისინი გახდებოდენ მისთვის სავალდებულოდ. საფრანგეთმა დაიტოვა თავისთვის უფლება გაიწვიოს თავისი ექსპერტები, იმ შემთხვევაში თუ რუსეთის დელეგაცია აიძულებს მას ასეთი ნაბიჯი გადასდგას.

თავმჯდომარე ჰაგის კონფერენციაზე.

მოსკოვი. 23 ივნისი. რადიო. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ჰაგის კონფერენციის თავმჯდომარედ იქნება ჰოლანდიელი, ვალების საკითხის კომისიის თავმჯდომარედ იქნება ფრანგი, თავმჯდომარედ კერძო საკუთრების საკითხის კომისიისა—ინგლისელი, თავმჯდომარედ სესხის საკითხის კომისიაში—იტალიელი.

მომავალი მუშაობა ჰაგაში.

მოსკოვი. 23 ივნისი. რადიო. გაზ. „მანჩესტერ გარდიეგი" იტყობინება, რომ რუსეთის წარმომადგენლების ჩამოსვლის შემდეგ ჰაგის კონფერენციის მუშაობა გაიყოფა ორ სტადიად: პირველად იქნება გამორკვეული, ნამდვილი მდგომარეობა რუსეთის წარმოებისა, რუსეთის ბიუჯეტის და კერძო საკუთრების შესახებ კანონმდებლობისა. შემდეგ იქნება ცდა რუსეთთან საერთო ნიადაგის გამონახვისა.

საფრანგეთის პოზიცია.

მოსკოვი. 23 ივნისი. რადიო. გაზ. „ნიუიორკი გერალდი" ფიქრობს, რომ ჰაგის ატმოსფერა არ იძლევა საშუალებას ოპტიმისტური დასკვნების გამოტანისათვის უმთავრესად იმის გამო, რომ საფრანგეთი დაჟინებით მოითხოვს, რომ საბჭოთა მთავრობამ აღიაროს საკუთრების უფლება.

გაზ. „დეილი ტელეგრაფის" პარიზის კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ საფრანგეთის დელეგაცია ჰაგაში იმოქმედებს იმ ძირითად პრინციპების შეფარდებით, რომელიც გაატარა ბარტუმ გენუაში.

ვალების ქვეკომისიაში.

ბორდო. 24 ივნისი (რადიო). რუსეთის ვალების ქვეკომისიამ, ალფანდის თავმჯდომარეობით, გადაწყვიტა შეკრიბოს სხვადასხვა დელეგაციათა მასალები რუსეთის ვალების საკითხის შესახებ.

კრედიტების ქვეკომისია.

ბორდო. 24 ივნისი (რადიო). კრედიტების ქვეკომისიამ ავეკანას თავმჯდომარეობით, გადაწყვიტა ვინვე მუშაობას შეუდგებოდეს დაეკითხოს რუსეთის დელეგაციას, ამ საკითხში რუსეთის თვალსაზრისის შესახებ.

ლიტვინოვის განცხადება.

ბორდო 24 ივნისი (რადიო). რუსეთის დელეგაციის მეთაურმა ლიტვინოვმა შეატყობინა გაზ. „იზვესტიას", რომ საბჭოთა მთავრობას უარი შეუძლია მოთქვას სესხზე თუ მოვალეები ძლიერ დიდ მოთხოვნილებას წარადგენენ. საბჭოთა რუსეთის სუვერენიტეტი აუცილებლად უნდა იქნეს ცნობილი ყველა სახელმწიფოთაგან.

ჰაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია.

რატენაუს განცხადება.

ნაუენი. 23 ივნისი (რადიო). ჰავასის სააგენტოს ცნობით რატენაუმ, რომელიც რეიხსტაგში უპასუხებდა შეკითხვებზე, ინგლისისა და საფრანგეთის მიერ რეინლანდის ნეიტრალიზაციის შესახებ,—განაცხადა გერმანიის მთავრობის სახელით, რომ გერმანია არავითარ შემთხვევაში არ შეკრავს ისეთ ხელშეკრულობას, რომელიც შეიცავდა რეინლანდის დატოვებას ან და რომელიც დაუშვებდა ამ მხარის ხელუხლებლობის დარღვევას. საარის ოლქის შესახებ რატენაუმ აღნიშნა, რომ ეს ოლქი განიცდის მძიმე მდგომარეობას ვერსალის ხელშეკრულებით, წინაალმდეგ სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყების შესახებ მიღებული წინასწარ შეთანხმებისა. და რომ ერთა ლიგას არ განუსაზღვრავს ადმინისტრატიული დანაწილება ამ ოლქისა. ერთა ლიგას სურდა ჩამოერთმია გერმანიის მთავრობისათვის მზრუნველობა ამ ოლქში მცხოვრებ გერმანელთა ინტერესებზე. ამავე დროს კი გერმანიას არ შეეძლო გულგრილათ ეცქირნა ამ გვარ გადაწყვეტილებისათვის, ვინაიდან მას არ შეუძლია მიიჩნიოს საარის ოლქი უცხო სახელმწიფოთ.

გერმანიის ნახშირი.

ნაუენი. 23 ივნისი (რადიო). პრუსიის მთავრობამ მიმართა წინადადებით გერმანიის კაბინეტს შეამციროს რაოდენობა იმ ნახშირისა, რომელიც უნდა ჩაბარდეს საკონტრიბუციო კომისიას, რადგანაც გერმანიის ეკონომიური ინტერესები და აგრეთვე მცხოვრებლებთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება ელექტრონით, გაზით და სხვა საგნებით ძალიან დაზარალდება ნახშირის პროდუქტების ერთი მეხუთედი გადახდით და აგრეთვე ზემოსილეზიის დანაწილებით. საგარანტიო საერთაშორისო კომისიამ უარი განაცხადა ამ პროტესტის განხილვაზე.

სიმართლე.

ნაუენი. 23 ივნისი (რადიო). გერმანიის სახამართლომ უარყო ყოფილი დიდი მთავრის ქსენიას შუამდგომლობა რუსეთის ყოფილ საელჩოს ბინის მისთვის გადაცემის შესახებ, რადგანაც საბჭოთა მთავრობის მიერ გაუქმებული ყველა ძველი კანონები მემკვიდრეობის თაობაზე, რის გამოც ეს შენობა ავტომატიურად გადავიდა რუსეთის სახელმწიფოს გამგებლობაში.

ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ.

რომი. 23 ივნისი (რადიო). გერმანიის რეიხსტაგში ვისბადენის შეთანხმების განხილვის დროს რეტენაუ სასტიკად აკრიტიკებდა, მთავრობას და განაცხადა, რომ მოკავშირეების მიერ რეინლანდის ოკუპაცია ეწინააღმდეგება ვერსალის ხელშეკრულებას.

ბოიკოტი გერმანიის დროშისადმი.

კრაუდენი. 23 ივნისი (რადიო). ბოიკოტი გერმანიის დროშისადმი იქამდე აღწევს, რომ მთავრობას განზრახვა აქვს მოახდინოს რეფერენდუმი იმ მიზნით, რომ გამოარკვიოს ნამდვილათ გერმანიის ხალხის დამოკიდებულება რესპუბლიკის დროშისადმი.

რეიხსტაგში.

ბორდო. 23 ივნისი (რადიო). ხუთშაბათს გერმანიის რეიგსტაგში ირჩეოდა შეკითხვა რომელიც იყო შეტანილი ელჩთა კონფერენციის მოოხოვნილების გამო, რკინის გზების გაყვანის შეჩერების შესახებ, ვითომდა მათი სტრატეგიული ხასიათის მიზეზით.

გერმანიის ფინანსები.

ბორდო. 23 ივნისი (რადიო). ვირტმა, რომელმაც მიიღო გერმანიის სახელმწიფო ბანკის დირექტორები, რომელთაც განუცხადეს მას გერმანიის მარკის კურსის ცვალებადობის განსაზღვრის შეუძლებლობა,—აცნობა მათ რომ ძლიერ ძნელია ამ საკითხში ჩარევა ნაყოფიერი შედეგების იმედით.

ავსტრია.

უკანასკნელი ცდა.

ნაუენი. 23 ივნისი (რადიო). ავსტრიის ფინანსთა მინისტრმა სეგიურმა შეიტანა ნაციონალურ საბჭოში კანონ პროექტი ავსტრიის ფინანსების აღდგენის შესახებ. მისი აზრით ეს არის უკანასკნელი ცდა ფინანსების აღდგენისა. იგი იძლევა წინადადებას შინაგანი სესხის გამოშვების შესახებ, რათა შესაძლებელი შეიქნეს 500 მილიონი კრონის დეფიციტის დაფარვა.

ამერიკა.

ვანდერლინის გამგზავრება.

ნაუენი. 23 ივნისი (რადიო). ამერიკელი ფინანსისტი ვანდერლინი, რომელიც მოგზაურობს ევროპის ეკონომიურ მდგომარეობის გამორკვევის მიზნით მივიდა ვენაში და შემდეგ გაემგზავრება ვენგრიაში, რუმინიაში და ოსმალეთში.

ისპანია.

მელითონელთა გაფიცვა.

ბორდო. 23 ივნისი (რადიო). მელითონელთა გაფიცვის გამო, ნავთსადგურიდან არ გასულა 67 გემი.

რუმინეთი.

მთავრობისათვის ნდობის გამოცხადება.

ბორდო. 23 ივნისი (რადიო). სამშაბათს დასრულდა რუმინეთის პარლამენტის სესია. სესიამ ნდობა გამოუცხადა მთავრობას.

საფრანგეთი.

ელჩების კონფერენცია.

ბორდო. 23 ივნისი (რადიო). პარიზში ელჩების კონფერენციამ გამოიმუშავა გერმანიის ნოტის პროექტი პროტესტით იმ სიტყვის წინააღმდეგ, რომელიც წარმოსთქვა ლორდ ბეგენ რეიხსტაგში ავსტრია-გერმანიის შეერთების დასაცავად.

სამხედრო ხარჯების კოლოსალური ზრდა.

ბორდო. 23 ივნისი (რადიო). 1914 წლიდან სამხედრო ხარჯები გაიზარდა: საფრანგეთში 80 პროცენტით, შეერთებულ შტატებში—164 პროცენტით, დიდ ბრიტანეთში—180 პროც., იაპონიაში—290 პროც., იტალიაში—390 პროც.

ინგლისი.

ხესხი გერმანიისათვის.

ნაუენი. 23 ივნისი (რადიო). ბრიტანეთის მთავრობის წრეები აშკარად აცხადებენ, რომ სესხის გაცემა გერმანიისათვის აუცილებლად საჭიროა. ბანკირების სურვილების დამარცხებამ არ უნდა მოახდინოს გავლენა სესხის ცრგანიზაციის ცდის განახლებაზე. „ტაიმს"-ის პარიზის კორესპოდენტების სიტყვით, საფრანგეთი ყოველივე საშუალებით ამზადებს ახალ მოლაპარაკებას სესხის შესახებ. კარგად გაცნობილი წრეები ფიქრობენ, რომ ბანკირები კვლავ მოწვეული იქნებიან თავის შესაკრებად სესხის საკითხის შესახებ და ამასთანავე გაცილებით ადრე, ვიდრე მოსალოდნელია.

საკითხი ტანუერის შესახებ.

ნაუენი. 23 ივნისი (რადიო). ტანჟერის საკითხს განიხილავენ ლონდონში ინგლისის, საფრანგეთის და ისპანიის წარმომადგენელნი ივლისში.

ინგლისის მილიტარიზმი.

ნაუენი. 23 ივნისი (რადიო). ბრიტანეთის მთავრობამ განიხილა რა პროგრამა იმ გემების ახალი აშენებისა, რომელსაც გავლენა იქნება ზღვაზე ინგლისის პირველობის დაცვისა, გადასწყვიტა მოაწყოს საპაერო ფლოტი, რათა ჰაერშიაც ინგლისს პირველობა დარჩეს.

პალესტინის საკითხი.

ნაუენი. 23 ივნისი (რადიო). ახალი ზელანდიის ყოფილმა გუბერნატორმა ლორდ ისლინგტონმა აიძულა პერების პალატა უარყოს პალესტინის პროექტი იმ სახით, როგორც ის იქნა შეტანილი მთავრობის მიერ. ბალფერის სიტყვის მიუხედავათ პალატამ მიიღო ლორდ ისლინგტონის რეზოლიუცია 60 ხმის უმრავლესობით 9 ხმის წინააღმდეგ.

ირლანდია.

ნაუენი. 23 ივნისი (რადიო). ირლანდიაში ინგლისს-ირლანდიის ხელშეკრულების მომხრეების სახით ზომიერების გამარჯვება იწვევს დიდს კმაყოფილებას ლონდონში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი.

კოდორის მაზრის რევიზია. ამ დღეებში ოჩემჩირში ჩამოვიდა მაზრაში რევიზიის მოსახდენად მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ამხ. ჯანაშია. აღმასკომის გაფართოებულ პლენუმში მოსმენილ იქნა მოხსენებები ყველა უწყებების შესახებ. მიწადმოქმედების განყოფილების თავმჯდომარის დროებითი მოადგილეს მოხსენების თანახმად გადაწყვეტილია დაეთმოს გაჭირვებულ გლეხებს სასურსათო გადასახადის სახით შეკრებილი სიმინდი 500 ფუთი, როგორც საათესური ფონდი. ფონდიდან გაცემული იქნება არა უმეტესი 1 ფუთისა ქცევაზე და საერთო ჯამით არა უმეტესი 5 ფუთისა. სასურსათო გადასახადის ინსპექტორმა ითხოვა ნება დაერთოს ღვინის გადასახადის მაგივრად აიკრიბოს ფული; ასაკრეფი ღვინის რაოდენობა 2,787 ფუთს უდრის. შუამდგომლობის მიზეზია—ჭურჭლის უქონლობა და გადატანის სიძნელე, და სხვ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მიერ მოხდენილმა რევიზიამ აფთიაქებში, გამოააშკარავა რომ მათი საქმის დაყენება სრულებით არ არის დამაკმაყოფილებელი. განზრახულია გამოცვლილ იქნეს ყველა აფთიაქების გამგეები.

პარტიული ცხოვრება. გუმისტინის მაზრის პარტიული კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა, რომელიც გაფართოებული იყო ადგილობრივი იაჩეკების მდივნების მონაწილეობით, დაამტკიცა ზოგიერთი შესწორებით სამაზრო კომიტეტის მდივნის მიერ გამომუშავებული გუმისტიხის მაზრის შეერთებული ადგილობრივი იაჩეკების ახლო მომავალში მუშაობის გეგმა: 1) შემოღებულ იქნეს სწორი აღნუსხვა იაჩეკებში კომუნისტების და კანდიდატების; გამომუშავებულ იქნეს საშუალებები სწორი მუშაობისა და მიზანშეწონილი მოწყობა კომუნისტური ჯგუფებისა, რისთვისაც დაინიშნოს ჯგუფებში რეგულიარული ვარჯიშობა; 2-ჯერ თვეში მოწვეულ იქნეს უბნებში პარტიული კრებები; უბნების პარტიული კრებებისთვის სამაზრო პარტიულ კომიტეტის მიერ გამომუშავებული უნდა იქმნეს ყველა ცალკე შემთხვევებში დღის წესრიგი:

დღის წესრიგში უნდა იყოს დასმული პოლიტიკური და საგანმანათლებელო საკითხები, აგრეთვე იაჩეკების წევრებს უნდა აეხსნას ის კითხვები, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა ფედერაციის მდგომარეობასთან, რათა მათ იცოდეს საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობა; 2 ჯერ თვეში მოწვეულ უნდა იქნეს უბნების კომუნისტური იაჩეკების მდივნების ყრილობა, და ამ ყრილობებზე ტეხილ ერს შეუძლია ამ გზას დაადგეს.

ამაზე ლაპარაკი ზედმეტია ლაპარაკი სხვა საქმეზე უნდა იყოს: რას უწოდებთ ჩვენ ფუფუნების საგნების სახელს. ჩვენ გვინდა ეს სახელწოდება გავაფართოვოთ. ფუფუნების საგნებათ უნდა ჩაითვალოს არა მარტო ის საგნები, რომელსაც ეს სახელი ჩვეულებრივ ეწოდება. უნდა იქნეს შედგენილი სია საქონლების, რომლის შემოზიდვა აკრძალული არის საერთოდ. ჩვენ გვგონია და სრულიად მიზანშეწონილი იქნება თუ აკრძალული იქნება ისეთი საქონლის შემოზიდვა, რომლებიც არ შეადგენენ უმრავლესობის მოთხოვნილების საგნებს. უმრავლესობა კი გვგონია—მშრომელი ხალხი. ის, რაც აუცილებელი საჭიროება არის ამ უმრავლესობისათვის იმის შემოზიდვა უნდა იქნეს დაშვებული, რაც ამ საზომს არ მოუდგება, უნდა იქნეს აკრძალული. ჩვენ ამ ჟამად ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ შეიძლება დროებით მაინც შევამციროთ, შევავიწროვოთ მოთხოვნილება. მოთხოვნილების შევიწროვება ბოლოს და ბოლოს არავითარ საშიშროებას და სიძნელეს არ წარმოადგენს. სახელდობრ რა უნდა იქნეს აკრძალული შედარებით ფართე მოთხოვნილების საგნებიდან, ამაზედ შეიძლება საგანგებო მსჯელობა.

შეიძლება ეს დებულება შევასუსტოთ, შეიძლება მთელი რიგი საქონლის შემოზიდვა არ იქნეს აკრძალული, მაგრამ სასტიკად უნდა იქნეს დაბეგრილი შემოზიდვის დროს. უცხოეთიდან შემოზიდული საქონლისათვის უნდა იქნეს დამუშავებული შესაფერი საბაჟო ტარიფი, საბაჟო ტარიფს ორგვარი დანიშნულება აქვს: 1) ბაჟების შემწეობით შესაძლებელი არის გადიდება ხაზინის შემოსავლის, 2) ან და საბაჟო გადასახადების შემწეობით შეიძლება შინაური მრეწველობის მფარველობა. ორნაირად შეიძლება, მაშასადამე, საბაჟო ტარიფის გამოყენება. საბაჟო ტარიფის აგება უნდა იყოს დაპირდაპირებული შინაური მრეწველობის მოთხოვნილებასთან. ზოგიერთი დარგები მრეწველობის აუცილებლად უნდა იქნეს დაცული უცხოეთის მრეწველობისაგან. ასეთ მდგომარეობაში არის ბევრი დარგები სოფლის მეურნეობის მრეწველობის (მეღვინეობა, მეგვინახეობა), თუ ამ თავით ზოგიერთი დარგები არ იქნა გამაგრებული და დაცული სრულიად ნაოელი არის, რომ ისინი მოიისპობიან და მათ მოერევა უცხოეთის წარმოება. გადიდებული საბაჟო გადასახადი აუცილებლად დაიცავს იმ დარგებს, რომლების დაცვა საჭირო არის. მფარველობით ბაჟებს ღღევანდელ პირობებში ექნება განსაკუთრებული მნიშვნელობა: ნაწილობრივ მაინც შეამცირებენ საგარეო ვაჭრობის ბალანსის ზარალს. მფარველობითი ბაჟები მიზანშეწონილნი არიან კიდევ იმიტომ, რომ ისინი ხელს შეუწყობენ გამაგრებას ჩვენი მრეწველობის ნორჩ დარგებს. რა თქმა უნდა, ამ საკითხს ღრმა ჩაკვირვება სჭირდება, წინასწარ უნდა იქნეს გამოკვლეული და აღნუსხული ის დარგები, რომლების დაცვა საჭირო და შესაძლებელი არის. ზეპირად ამ საკითხის გადაჭრა შეუძლებელი არის. სახელმწიფო ვერ უარყოფს საბაჟოს შემოსავალს. მაშასადამე, ეს ორი საკითხი უნდა იქნეს დაპირდაპირებული და გადაბმული, რამდენადაც ამას მოითხოვს შინაური მეურნეობა და მრეწველობა.

ვინაიდან მთავარი მოთხოვნილების საგნები ძლიერ საჭირო არის და ამ ჟამად შინაური მრეწველობა ვერ შეძლებს მის დაკმაყოფილებას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხალხის უმრავლესობის მოთხოვნილება და საბაჟო ტარიფიც ამას უეჭველად გაითვალისწინებს. ნაწილი საგნების უმთავრესი მოთხოვნილების უნდა გათავისუფლდეს ბაჟებისაგან.

მაშასადამე უცხოეთიდან შემოზიდული საქონელზედ სამგვარი შეხედულება უნდა იქნეს გატარებული საგარეო ვაჭრობის პოლიტიკაში: 1) ფუფუნების საგნების შემოზიდვა უნდა იქნეს აუცილებლად აკრძალული. ამ ჯგუფში იქნება ისეთი საგნები, რომლებიც უმცირესობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ზოგიერთი საგნები, რომლებიც არ არის უმრავლესობის მოთხოვნილების საგნები შეიძლება არ იქნეს აკრძალული, მაგრამ შემოზიდვის დროს ძლიერ უნდა დაიბეგროს. ვისაც შეძლება აქვს შეიძენს და გადიხდის დიდ ფასებს, სახელმწიფოს კი დარჩება შემოზიდვის ბაჟები. ვინაიდან ეს ჯგუფი საქონლის ძლიერ იქნება დაბეგრილი, შეიმოზიდვაც შემცირდება. თუ არ შემცირდება სახელმწიფოს ხაზინა მიიღებს კარგ შემოსავალს. ფუფუნების საგნების შემოზიდვა, შევიწროება ზოგიერთი საგნების შეამცირებს საგარეო ვაჭრობის ბალანსის ზარალს. 2) იმ ნაწარმოებზედ, რომლების წარმოება შესაძლებელი არის შინ, ასეთ საქონელზედ მეტი უნდა იქნეს დადებული მიზანშეწონილობის მიხედვით. 3) უმრავლესობის მოთხოვნილების საგნები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მანქანები და სხვა, სურსათ-სანოვაგე უნდა განთავისუფლდეს გადასახადისაგან, ვინაიდან ამ შემთხვევაში საბაჟო გადასახადი მასიურ მოხმარებელს დაეწვება.

საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია უეჭველად უნდა დარჩეს. სახელმწიფო ვერ შეელევა მთავარ საექსპორტო საგნებს და იმ სახსარს, რომელსაც სამონოპოლიო საგნები აძლევს მთავრობას. მონოპოლიის მნიშვნელობაზედ უკვე ზედმეტი არის ბაასი. მაგრამ უნდა იყოს გამორკვეული რა საგნები არის სამონოპოლიო, რა საქონელს იტოვებს სახელმწიფო. ამ საკითხზედ პასუხის გაცემა სრულიად ადვილი არის. სახელმწიფოს სამონოპოლიო არის ისეთი საგნები, რომლის დამზადებას და გასაღებას შესძლებს სახელმწიფო თავისი აპარატების საშუალებით, ეს არის მასიური ნედლი მასალა. მათ შორის მარგანეცი, ბრეშუმის პარკი, თამბაქო. ამ ნედლეულებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საგარეო სავაჭრო ბალანსში მარგანეცს. 1920 წ. გაყიდული საქონლის რაოდენობიდან მარგანეცი შეადგენდა 83,3 პროც., დანარჩენ საქონელს თითქმის მნიშვნელობა არა აქვს.

საგარეო სავაჭრო ბალანსის საფუძველი არის მარგანეცი. მაგრამ მარგანეცი თავისებური საგანი არის. მისი გაზიდვის გაძლიერება მარტო ჩვენგან არ არის დამოკიდებული. მძიმე ვის დროს ძლიერ უნდა დაიბეგროს. ვისაც შეძლება აქვს შეიძენს და გადიხდის დიდ ფასებს, სახელმწიფოს კი დარჩება შემოზიდვის ბაჟები. ვინაიდან ეს ჯგუფი საქონლის ძლიერ იქნება დაბეგრილი, შეიმოზიდვაც შემცირდება. თუ არ შემცირდება სახელმწიფოს ხაზინა მიიღებს კარგ შემოსავალს. ფუფუნების საგნების შემოზიდვა, შევიწროება ზოგიერთი საგნების შეამცირებს საგარეო ვაჭრობის ბალანსის ზარალს. 2) იმ ნაწარმოებზედ, რომლების წარმოება შესაძლებელი არის შინ, ასეთ საქონელზედ მეტი უნდა იქნეს დადებული მიზანშეწონილობის მიხედვით. 3) უმრავლესობის მოთხოვნილების საგნები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მანქანები და სხვა, სურსათ-სანოვაგე უნდა განთავისუფლდეს გადასახადისაგან, ვინაიდან ამ შემთხვევაში საბაჟო გადასახადი მასიურ მოხმარებელს დაეწვება.

საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია უეჭველად უნდა დარჩეს. სახელმწიფო ვერ შეელევა მთავარ საექსპორტო საგნებს და იმ სახსარს, რომელსაც სამონოპოლიო საგნები აძლევს მთავრობას. მონოპოლიის მნიშვნელობაზედ უკვე ზედმეტი არის ბაასი. მაგრამ უნდა იყოს გამორკვეული რა საგნები არის სამონოპოლიო, რა საქონელს იტოვებს სახელმწიფო. ამ საკითხზედ პასუხის გაცემა სრულიად ადვილი არის. სახელმწიფოს სამონოპოლიო არის ისეთი საგნები, რომლის დამზადებას და გასაღებას შესძლებს სახელმწიფო თავისი აპარატების საშუალებით, ეს არის მასიური ნედლი მასალა. მათ შორის მარგანეცი, ბრეშუმის პარკი, თამბაქო. ამ ნედლეულებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საგარეო სავაჭრო ბალანსში მარგანეცს. 1920 წ. გაყიდული საქონლის რაოდენობიდან მარგანეცი შეადგენდა 83,3 პროც., დანარჩენ საქონელს თითქმის მნიშვნელობა არა აქვს.

საგარეო სავაჭრო ბალანსის საფუძველი არის მარგანეცი. მაგრამ მარგანეცი თავისებური საგანი არის. მისი გაზიდვის გაძლიერება მარტო ჩვენგან არ არის დამოკიდებული. მძიმე

ფურცლები ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის შესახებ

IV *)

უდიდესი საკითხი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა—არის საგარეო ვაჭრობა. საერთაშორისო ომიანობის შემდეგ საგარეო ვაჭრობაში ევროპის დიდ სახელმწიფოებში დიდი ცვლილება მოხდა. შევიწროება, ეკონომიურ ურთიერთობაში, რომელიც წარმოშვა ომიანობამ, იყო დასაბამი ახალი ეკონომიური პოლიტიკისა. ევროპის სახელმწიფოებში ბევრგან შემოიღეს ეგრეთ წოდებული კონტინგენტი, ესე იგი დამუშავებული იყო სია საგნების, რომელთა თავისუფალი შემოტანის ნება დართეს, საგნების და საქონლის, რომლების შემოტანა და გატანა აკრძალული იყო. თუ ეკონომიურად ძლიერ სახელმწიფოებმა მიმართეს ასეთ საშუალებას, მათ უმეტესათ შეგვიძლია მივმართოთ მას ჩვენ. საგარეო ვაჭრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ეკონომიური და ფინანსიური პოლიტიკისათვის.

ჩვენი მრეწველობა ქალაქის და სოფლის ისეთ დონეზე სდგას, რომ მთავარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება საკუთარი საშუალებით ჩვენ არ შეგვიძლია. ჩვენ იძულებული ვართ უმთავრესი მოთხოვნილების მრავალი საგნები შემოვზიდოთ, იძულებული ვართ შეშოვიტანოთ სურსათ სანოვაგე. ასეთი არის ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა და ვიდრე ეს მდგომარეობა არ გამოსწორდება, საგარეო სავაჭრო ბალანსი იქნება განსაკუთრებულ მდგომარეობაში. 1919 წ. შემოზიდულ საგნებში 19,4 პროც. არის ფქვილი, თევზი—12,1 პროც. მარილი 11,8 პროც. თითქმის მეხუთედი არის პური. საარსებო საგნები შეადგენენ შემოზიდულ საქონლის რაოდენობიდან 1919 წ. 58,6 პროც. ნახევარზე მეტი საგარეო სავაჭრო ბალანსი ეკუთვნის ამ საგნებს. მაშასადამე, ეს ნაწილი ბალანსის უნდა იქნეს დაფარული. რა გზით და რა საშუალებით შეგვიძლია ჩვენ ეს ნაწილი საგარეო სავაჭრო ბალანსისა გავასწოროთ? საშუალება არის ორნაირი: ოქრო და ნედლი მასალა. ოქრო ჩვენ არ გვაქვს და კიდეც რომ გვქონდეს, მას შეიძლება სხვა დანიშნულება მიეცეს. თუ ოქრო არა გვაქვს უნდა გამოინახოს სხვა რაიმე საშუალება. ასეთი არის ნედლი მასალის გაზიდვა.

საქართველო სოფლის მეურნეობის ქვეყანა არის, მაშასადამე ჩვენ გვაქვს ისეთი ნედლი მასალა, რომლის მოხმარება ჩვენ ამ ჟამად არ შეგვიძლია და ახლო მომავალში ვერც შევსძლებთ. ნედლი მასალის გაზიდვის გაძლიერება უდიდესი საშუალება არის საგარეო სავაჭრო ბალანსის გამოსასწორებლათ, საშუალება იმ ხარჯების გასასწორებლათ, რომელიც ჩვენ გვაქვს შემოზიდულ საქონელზედ.

დღემდე ჩვენი საგარეო სავაჭრო ბალანსი საზარალოა. ღირებულების მიხედვით თუ ვიანგარიშებთ 1919 წ. გატანილი საქონლის ღირებულება შეადგენს 41,3 პროც. შემოტანილი საქონლის ღირებულებისას. წონის მიხედვით საქართველოდან გატანილი მეტი იყო, ვიდრე შემოტანილი, მაგრამ გატანილი საქონლის ღირებულება უფრო მცირეა, ვიდრე შემოტანილის. საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტი თავისთავად არას ნიშნავს, დეფიციტიც არ არის საშიში, მაგრამ ერთი აუცილებელი პირობა უნდა იყოს მიღებული მ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსათხოვარი—ღამეს.

ო, კარგი იყო მუსიკის სევდა,
როს ჩუმად ხევდა ტირილი ქარის,
დატეხილ ფიქრებს შემომისევდა
პარნასის მთიდან გამონაჩქარი.
სულს იზიდავდა ცეცხლის სარტყელი
ჩქარი და მწველი წითელი ქარი;
ო, გამბედავი იყო მთა, ველი
რისხვის მფრქვეველი და ბობოქარი..
და ამ დროს ობლად დავსტოვე ღამე,
უმთვარო ღამე ო, როგორ მძულდა,
ო, გესლით სურდა, რომ მოვეშორე—
ნაცვლად კი ცაზე მზე ამოცურდა.
და დღეს ხომ აქ ვარ ხალისით სავსე
და ვფიქრობ ასე თავისუფალი:
მონობის რკალი თუ დავახვევ
შრომის დაფაზე დავრჩები მთვრალი.
ო, ვრჩები მთვრალი და ჩემს წინაშე
ვით ანთებული სახე რკინაში,
იქნება მარად ორი მწვერვალი:
იქ ოქტომბერი, აქ თებერვალი.

———

ო, მაგონდება ჰაერს, რომ სწვავდა
მიწიდან ცეცხლის ანარეკლები,
დღე—სასიკვდილო ღამეს არ ჰგავდა
ჩხვლეტავდა სულსაც ელვის ეკლები.
და მახსოვს კიდევ—ო, ბევრი კარგი,
თუნდაც სხივების უჩვევი ფრქვევა,
სიცოცხლე—სევდით გადანაკარგი
დღეს ჩვენთან არის, შუბლზე გვეხვევა.
შუბლზე გვეხვევა და გულის ღელვა
ბიბლიურ წარღვნის აშენებს კარავს;
მზეს სხივებს ჰპარავს მრისხანე ელვა
და შრომის ტაძარს ხალისი ფარავს.
ხალისი ფარავს, ხალისი წრფელი
და ფრთა წითელი ჭრიან რაშები,
შეთამაშებით გადავვლე მთელი
სამყარო სულით განაკაჟები.
ახლა შევცქერი ცეცხლით ნახაზებს
რომ ალამაზებს წითელი ცოფი,
მკერდ დანაოფლი ფრთას ვასხამ აზრებს
დროსა და სივრცის ფერხულში მყოფი!..

იონა ვაკელი.

თან ერთად უნდა ხდებოდეს სამაზრო პარტიული კომიტეტის პლენუმის სხდომები. გაფართოებულ პლენუმებზე გამომუშავებულ იქნეს დღის წესრიგი უბნების პარტიულ კრებებისთვის. დღიურ წესრიგში მოთავსებულ საკითხების შესახებ პარტიული კომიტეტის მდივანმა უნდა მიაწოდოს თეზისები; მოეწყოს ყოველდღე სოხუმის გაზეთების მიწოდება იაჩეიკის კომიტეტებს და ყოველ იაჩეიკას გაეგზავნოს თითო ეკზემპლიარი. ყველა უბნების იაჩეიკებთან მდივნების ხელმძღვანელობით და აფხაზეთის პოლიტიკური განათლების თავაარი განყოფილების საშუალებებით მოეწყოს სამკითხველოები, რომლებშიც იგზავნებოდეს საბჭოთა ლიტერატურა.

ექვსკვირიანი სამასწავლებლო კურსები. სახალხო განათლების კომისარიატი აწყობს ექვსკვირიან სამასწავლებლო კურსებს 1 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე. კურსანტებს მიეცემათ საერთო ბინა, დღიური სანო-

---

ინდუსტრიის მოთხოვნა არის მიზეზი მარგანეცის ექსპორტის გაჩაღების.

რაც სახელმწიფოს მონოპოლიათ არ იქნება გამოცხადებული, უნდა გაიშვას საზღვარ გარეთ, რასაკვირველია ბაჟ დადებით. ჩვენი ღრმა რწმენით, რაც უფრო მცირე იქნება სამონოპოლიო საგნების სია, იმდენათ იოლად განხორციელდება მონოპოლია. სახელმწიფო აპარატების გაძლიერებისთანავე შესაძლებელი არის სამონოპოლიო საგნების სიის გადიდება. მარგანეცი, პარკი, თამბაქო იმდენათ მნიშვნელოვანი საგნები არის, იმდენათ დიდი ბაზარი აქვს მათ, იმდენათ თვალსაჩინო დარგებს მეურნეობისას შეადგენენ, რომ მარტო ამ საქონლის ვაჭრობის მოწყობა იქნება დიდი და კარგი საქმე.

სახელმწიფოს ვაჭრობის მონოპოლია არ განისაზღვრება მარტო ვაჭრობით, სახელმწიფოს უნდა ქონდეს სავაჭრო ნივთები. მონოპოლია უპირველეს ყოვლისა გულისხმობს წარმოების მოწესრიგებას, ხელმძღვანელობას, გაძღიერებას. წარმოება და ნაწარმოების ვაჭრობა უნდა იქნეს დაკავშირებული. რა სახეს მიიღებს ეს დაკავშირება—ეს არის გამოკვლევის საგანი.

სახელმწიფომ ხელი უნდა აიღოს იმ წვრილმან საქონელზედ, რომლითაც ვაჭრობა არ არის სახეირო, რადგან საქონლის რაოდენობა მცირეა, არ არის მოწყობილი აპარატები. თუ მიღებული იქნება, რომ გარდა სამონოპოლიო საგნების გარეშენება დართული იქნება დანარჩენი საქონლის გაზიდვა, ცხადია სახელმწიფო უნდა ჩაერიოს ამ გაზიდვაში, მიიღოს მონაწილეობა. საქონელზედ, რომლის გაზიდვა ნება დართულია, უნდა იქნეს დადებული ბაჟები. დღემდე იყო ასეთი წესი, მაგრამ ამ წეს ერთი დიდი ნაკლი ქონდა. სახელმწიფო ვალდებული არის მიიღოს მონაწილეობა არა მარტო იმ მოგებაში გატანილ საქონელზედ, რომელიც

ვაგე და სამგზავრო ხარჯების ანაზღაურება. ივნისის განმავლობაში მაზრაში ჩატარდება მასწავლებლების კონფერენციები, რომლებზედაც მოხდება კურსებზე გასაგზავნი არჩევნები 10 10 კაცის თითეული მაზრიდან.

აჭარა.

ჩაქვის სახელმწიფო მამულის რევიზია. ამ დღეებში ჩაქვის სახელმწიფო მამულის დასათვალიერებლად ჩამოვიდა სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: თბილისიდან ჩამოსული საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი აგრონომი ნაკაშიძე და საქართველოს სახელმწიფო მამულების პოლიტიკური კომისარი ამხ. დოლაძე და აგრეთვე აჭარის მიწადმოქმედების სახ. კომის. და ბათუმის საოლქო საგანგებო კომისიის წარმომადგენელისაგან. კომისიის ჩამოსვლა გამოწვეული იყო თბილისიდან მოსული ცნობებით ჩაქვის მამულის არა სასურველ მდგომარეობის შესახებ.

წარმოადგენს განსხვავებას ფასებში აქ და ევროპის ბაზარზედ, არამედ იმ მოგებაშიც, რომელიც შესდგება ფულის კურსების განსხვავებიდან. ბაჟები არ უნდა იყოს ისეთი, რომელიც სპობს წარმოებას. ბირჟები უნდა იქნეს შეფარდებული ევროპის ბაზრების ფასებთან, რომ არ მოისპოს ექსპორტი, არ მოისპოს წარმოების ხალისი.

ზემოაღნიშნული დებულებანი ახალს არაფერს არ შეიცავენ, მაგრამ აუცილებელი შეიქნა მათი განმეორება, ვინაიდან დღემდე არ არის სათანადოთ ჩამოყალიბებული საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, არ არის ასე ვთქვათ დამდგარი პოლიტიკა. მუდმივ იცვლება დებულებანი, რაც ქმნის არევ-დარევას. ერთი წლის გამოცდილება საკმაო სახელმძღვანელო მასალას იძლევა.

შეიძლება, ჩვენ ვ ნმემ ჯვიპალუბოს, რომ საქართველო დამოუკიდებლად არ აწარმოებს საგარეო ვაჭრობას. ეს მდგომარეობა ჩვენ კარგათ გვაქვს გარკვეული: სწორედ დღევანდელ საგარეო ვაჭრობას ამბერ კავკასიის რესპუბლიკებისას ასე წარმოვიდგენთ. ჩვენ მხედველობაში გვქონდა ის, რომ საგარეო სავაჭრო პოლიტიკა სამივე რესპუბლიკის წამოყენებულ დებულებებზედ უნდა იქნეს აგებული.

P. S. წერილი დამთავრებული იყო როდესაც გაზეთებიდან ამოვიკითხე, რომ ფინანსთა კომისარიატს დაუმუშავებია საბაჟო ტარიფის პროექტი. გაზეთის გადმოცემით საბაჟო ტარიფი სწორედ იმ დებულებებს შეიცავს, რომლებიც ჩვენ წამოვაყენეთ.

ხ. ავალიანი.

ქრონიკა

✦ სახელმწიფოებრივი დახმარება პროვინციაში. შრომის სახ. კომისარიატის სახელმწიფოებრივ დახმარების განყოფილების ხარჯთაღრიცხვაში შეტანილია ის კრედიტებიც, რომელიც მოხმარდება ერთდროულ დახმარებას ადგილობრივად.

✦ საბინაო და სამკურნალო გადასახადების შეღავათი. შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით შეღავათი მიეცემათ შრომის უნარ მოკლებულთ და იმ შემთხვევებში, როდესაც ოჯახის შრომის უნარიან წევრებს არ შეუძლიათ ისინი მიიღონ თვისი მზრუნველობის ქვეშ. (სხვა სახლში ცხოვრების დროს) გარდა ამისა შეღავათი მიენიჭებათ 3 და მეტ მცირე წლოვან ბავშვების დედას, თუ მას არ ყავს თავის ოჯახში შრომის უნარიანი წევრი.

✦ ქალების საინვალიდო წლოვანება. შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით ქალთა საინვალიდო წლოვანება შემცირებულია 56 დან 54 წლამდე.

✦ ვაქცინას გაცვლა მედიკამენტზე. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა გაგზავნა აფხაზეთში ვაქცინა, რომლის სამაგიეროთ მიიღებს მედიკამენტებს რომელიც აბხაზეთში საკმაოდ მოიპოვება.

✦ ჯანმრთელობის სახ კომისარიატის კავშირი ადგილებთან უმჯობესდება. კოლეგიის წევრის ამხ. ფრანგულიანცის სოხუმში გამგზავრების შემდეგ დამყარდა კავშირი აბხაზეთთან.

✦ შრომის სახ. კომისარიატის შტატი. დამტკიცებულია შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიის მიერ 193 კაცისაგან შემდგარი შტატი.

✦ შრომის კანონების რატიფიკაცია შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიამ სცნო აუცილებლად შრომის კანონების რატიფიკაცია და ამის განსახორციელებლად არჩეულია 3 კაცისაგან შემდგარი კომისია.

✦ შავი ქვის მრეწველობის ზრდა. აპრილის შუა რიცხვებში გამრეცხავ ქარხნებიდან მუშაობდა მხოლოდ ერთი და უშვებდა დღე-ღამეში 5000 ფუთ მადანს ძველად ამოღებულ მაგიდან. მაღაროებში მუშაობა არ სწარმოებდა გარდა ორ ადგილისა, სადაც სწარმოებდა მხოლოდ მოსამზადებელი მუშაობა. მუშაობა უმთავრესად სწარმოებდა მადანის გადასაზიდავად მაღაროებიდან რკინის გზის ბაქანამდე. სულ სამთამადნო წარმოებაში ჩაბმული იყო 130 მუშა და 40 მეურმე. 15 ივნისისათვის სურათი სრულიად გამოიცვალა. მუშაობს 6 ქარხანა და მუშების საერთო რიცხვი ულრის 1231 კაცს; მადანის ამოღება სწარმოებს 4 ადგილას და დღე ღამეში იღებენ 20.000 ფუთს, რასაც უნდება 406 ურემი, ხოლო მადანის გადასაზიდად რკინის გზის ბაქანამდე ყოველ დღე მუშაობს 420 ურემი. ჭიათურიდან რკინის გზით ყოველ დღე გაიქვთ დაახლოებით 60.000 ფ. სხვადასხვა ხარისხის მადანი.

✦ კბილის ექიმების გამოშვება. მიმდინარე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდა ჩაბარა 23 პირმა: ბარბაქაძე, ეგიკიანი, ევრაიმი, ვორონინა, მაბა, მელიქ-გაიკაზიანც, მოროზოვა, ნაზაროვა, ნაზარეტიანი, სემიონოვა ოცხელი, პაუკოვა პეკელის, სევასტიანიდი, ტატიშვილი უშვერიძე, ფანცხავა, შირიაპოვი, ხაბურძანია, ვალაპაკავა, ტუსკია-ხუტულაშვილი, ვარდოსანიძე, მახმუდ-ხანასირ, ხუნდაძე და მატიუკოვი.

✦ მუშა ძალთა აღრიცხვა სწარმოებს შრომის ბირჟაში, სადაც 8 აპრილიდან 15 ივნისამდე რეგისტრაციაში გატარებულ იქნა სულ 456 უმუშევარი, მათ შორის 429 მამაკაცი 27 ქალი. სამუშაოზე გაგზავნილ იქნა 295 სული, მათ შორის ქალი მხოლოდ ოთხი. უმუშევრად რჩება 161 კაცი. ფულით ან. სხვა სახით დახმარება უმუშევართ არ მიუღიათ.

✦ შრომის და ტვირთზიდვის ბეგარა. შრომის და ტვირთზიდვის ბეგარის წესით ყოველდღიურად მისდიოდა საჩხერის რაიონის სატყეო მუშაობის გახყოფილების გამგის განკარგულებაში 20 მუშა და 5 ურემი. ამის გამო რომ სასოფლო გზები ტყის დამუშავების რაიონში უვარგისია ოეგულიარული მუშაობისათვის, ეს გზები შესწორებული იქნა.

ქ. ჭიათურის ქალაქს და დაბა საჩხერის მცხოვრებთათვის ტვირთზიდვის და შრომის ბეგარა შეცვლილ ფულის შემოტანით. აღებული თანხა ხხოლოდ ჭიათურაში გამოიხატება 28 მილ. მანეთში. შემოტანა გადასახადის გრძელდება

✦ თბილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებელში. ტბილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებელში, რომელიც ამზადებს ინჟენერების და სამრეწველო დარგების უმაღლეს ხელმძღვანელთა უახლოეს თანამშრომელთ, უკანასკნელ კლასებში გამოცდები დამთავრდა ივნისის 20-ს. პირველი გაერთიანებული მექანიური განყოფილების კურსი დაამთავრეს შემდეგმა პირებმა: ა. ბედია, ა. ბიბილეიშვილი, ი. ბუკია, გ. გაბუნია, ა. გოგსაძე, ი. კვანტრიშვილი, ი. მუმლაძე, ვ. მუმლაძე, დ. მელაძე, ი. მეგრელიშვილი, ს. ნიკოლეიშვილი, ა. ნინუა, ა. პაიჭაძე, ს. სვანიძე. ა. სულაქველიძე, გ. ქრისტესაშვილი, პ. ჩხეიძე, ს. ძველაია, ლ. ჟამიერაშვილი, გ. შარავაძე. აღნიშნულ პირებმა მიიღეს ტეხნიკოს მექანიკოსის წოდება და არსებული წესების მიხედვით უფლება სამი წლის პრაქტიკის და სათანადო გამოცდების შემდეგ მიიღონ ვიწრო სპეციალობის ინჟენერის წოდება, მზგავსად გერმანეთში ამ დარგში არსებულ წესებისა.

ხელოვნება

მთავარ სახელოვნო კომიტეტში.

— ქართული დრამის შესახებ. მთავარმა სახელოვნო კომიტეტმა დადგინა აღძრას შუამდგომლობა სახალხო კომისართა წინაშე, რომ ქართული დასი გამოცხადებული იქნეს სახელმწიფოდ. თუ ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქნა, კომიტეტი შეუდგება დასის ორგანიზაციას. განზრახულია შეიქმნას მომქმედი და შერჩეული მსახიობების კადრი 27—30 კაცამდე, რომელიც იმუშავებს მთელი წლის განმავლობაში. დასში მოწვეულნი იქნებიან დრო გამოშვებით დასის გარეშე დარჩენილი დამსახურებულნი მსახიობნი.

— ოპერის შესახებ. მთავარი ხელოვნების კომიტეტმა აგრეთვე დაადგინა: საერთო ფინანსიური კრიზისის გამო არ შეიძლება ოპერის დასი დატოვებულ იქნას სახელმწიფო ხარჯზე. აღიტომ კომიტეტს შესაძლებლათ მიაჩნია ისეთი აბონანგობის დაარსება რომელსაც ექნება ნახევრად ანტრეპრიზის ხასიათი. მხოლოდ შედგენილ უნდა იქნეს ქართული ოპერებისათვის ქართველ მომღერლებისაგან შუდმივი დასი, რომელიც იქნება აყვანილი სახელმწიფოს ხარჯზე.

— მოსკოვის სამხატვრო სტუდია. მთავარი ხელოვნების კომიტეტმა მოსკოვიდან სამხატვრო სტუდიის ტფილისში ჩამოსვლისათვის დეპეშით მიმართა ლუნაჩარსკის.

— საზაფხულო დრამისა და ოპერის კოლექტივები ხელოვნების კომიტეტმა დაამტკიცა დრამისა და ოპერის კოლექტივები, რომლებიც საზაფხულოდ იეიძგზავრებიან საქართველოს პროვინციებში სამუშაოდ. აღხიშნულ კოლექტივებს კომიტეტმა აღმოუჩინა შეაფერი დახმარება მოგზაურობისათვის.

— თეატრები. მთავარ ხელოვნების კომიტეტს გადაეცა ყველა თეატრები რესპუბლიკის ფარგლებში.

სობინოვის გასტროლი ტფილისში. ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა ცნობილი მომღერალი სობინოვი და გამართავს რამოდენიმე გასტროლს სახელმწიფო ოპერის თეატრში. მასთან ერთად მოდიან გელცერი და მაქსიმოვი.

— მოსკოვში საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის წარმომადგენლის დეპეშა. მოსკოვში მყოფ საქართველოს სახალხო განათლების წარმომადგენლისაგან მიღებულია დეპეშა შესახებ იმისა, რომ საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის და რუსეთის სახალხო განათლების კომისარიატის შორის დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალით საქართველოს უფლება ეძლევა გამოიტანოს ჩრდილოეთ საქართველოდან 1914 წლიდან გატანილი არქივები და კოლექციები. გრძელდება მოლაპარაკება დანარჩენ სამუზეუმო და ძველ განძეულობათა უკან დაბრუნების შესახებ.

ბავშვთა კლუბი

მიუხედავათ საბჭოთა სახლების სიმრავლისა, უსწავლელობითა და ცუდი აღზრდით ქუჩაში მაინც ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა იღუპება.

და აი, სწორედ ამისთანა დროს გამოანათა მკრთალმა შუქმა იმ დიადი საქმისა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს პატივ. ანდრია კლდიაშვილმა და მისმა თანამშრომლებმა.

მეტად უნუგეშო მდგომარეობაში ვხედავთ ბავშვთა კლუბის დაარსებას.

პირველად კლუბი თვით პატ. ანდრიას ოჯახში გაიხსნა

მიუხედავად ადგილის სიმცირისა, იმ ლექციებს, რომლებსაც უფროსი მოწაფეები კითხულობდნენ ხხვა და ხხვა დარგში, აუარებელი ბავშვები ესწრებოდნენ. ხანგამოშვებით იმართებოდი პატარ პატარა საღამოები, რომელზედაც მშობლებს აცნობდნენ წრის მნიშვნელობას და აჩვენებდნენ ბავშთა საქმიანობის ნაყოფს.

კლუბი თან იზრდებოდა და გასაქანი კი არ ჰქონდა.

ბოლოს მთავრობამაც მიაქცია ყურადღება, დაუთმო შესაფერი შენობა და სხვა დახმარების აღმოჩენასაც დაჰპირდა. და დღეს ივნისის 25-ს დილისი 12 საათზე, ახალ ბინაზე (ოლოას ქ. № 29) იხსნება ნამდვილი მთავრობისაგან დამტკიცებული კლუბი, რომლის მიზანია შეაჩვიოს ახალგაზრდობა საქმიანობას, განავითაროს ყოველ მხრივ, სწავლით იქნება ეს თუ ხელობის შესწავლით და მოსპოს ის ქუჩური „აღზრდა“, რომელშიაც სიღარიბით ამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა იღუპება.

იმედია, საზოგადოება და მთავრობა შემდეგაც ხელს შეუწყობენ ამ საქმეს.

კან-ძინ.

ეუშათა ცხოვრება

რკინის გზელების ნავთლულის სამეურნეო ეკონომიაში

ნათვლულის განაპირას, ქალაქიდან 12 ვერსის მანძილზე არის ეგრეთ წოდებული სამეურნეო ეკონომია, რომელიც ეკუთნის რკინის გზელების კავშირის მომხმარებელ საზოგადოებას. ეკონომია წარმოადგენს საკმაოდ მოზრდილ ბაღს, ხეხილით და ბოსტნეულობით. მუშაობენ 100 მუშამდე. მათ შორის 18 ითვლება შტატში, დანარჩენები დღიურებად; და ეს მაშინ, როცა მათ უხდებათ მუშაობა მთელი სეზონის განმავლობაში 6-7 თვე, დღიურ მუშებათ კი შეიძლება ჩათვლა ვინც ექვს დღეზე ნაკლებ მუშაობს. ალბათ ადმინისტრაციას ეს დაყოფა სარგებლობას აძლევს, რასაც ქვევით დავინახავთ. ნაწილი მუშებისა ცხოვრობენ თვით ეკონომიაში. მათი ბინა წარმოადგენს ყოფილ (თავლას) გომურს. არ არის ფანჯრები და არაფერი მოწყობილება, რაც აუცილებელი საჭიროა სადგომი ადგილისათვის. მუშაობა სწარმოებს დილის 7 საათიდან საღამოს 7-მდე, ამ დროიდან 4 საათი საუზმე-სადილს და დასვენებას უნდება. მომუშავეთა შორის აროიან აგრეთვე მცირე წლოვანები და მათი საუშაო დრო იმდენია, რამრენიც დიდებისათვის, საუშაო ხელფასი გახისაზღვრება: 10 ათასი მცირე წლოვანებისათვის, 15 ათასი-დედა-კაცებისათვის, 20 ათასი ძამა-კაცი მუშებისათვის დღიურად. ამას გარდა მუშები იღებენ ორ გირვანქა ხახვარ პურს, სადილს (ერთი ჯამი ლობიო) და ჩაის. სადილი მზადდება ეკონომიაში. უმეტეს შემთხვევაში ადმინისტრაცია აძლევს მუშებს კუთვნილი სურსათის ნახევარს.

ეკონომიის მუშები არ არიან დაზღვეულნი. ბოლო დრომდე ისინი იღებდნენ ავადმყოფობის დროს ადმინისტრაციისაგან ჯამაგირს და სურსათს. ეხლა მათ ეს მოუსპეს. იყო შემთხვევა, როცა ანთებით გაბდარი მუშა ამოიროცხა სურსათისაგან და მას შეუწყდა ხელ-ფასის მიცემა. ადმინისტრაცია ამას ხსნის მით, რომ დღიურ მუშებს ავადმყოფობის დროს არ ერგებათ არაფერი. ალბათ ეს იყო მოტივი, რომ სეზონის მომუშავეებს ისინი თვლიან დღიურებათ, ცოტა ხარჯი დაჭირდებათ.

ადგილობრივი კომიტეტი ამ უკანასკნელ ხანამდე არ ყოფილა. 6-ნ თვის წინად ის გაუუქმებიათ (მომხმარებელ საზოგადოების გამგეობას), ვინაიდან, როგორც კომისარმა გადმოგვცა, 50 მუშისათვის არ არის საჭირო კომიტეტი.(?)

გაზეთებს სრულებით არ ღებულობენ. მოწყვეტილი არიან ყველაფერს. არავითარი პროფესიონალური და პოლიტიკური მუშაობა მათში არ სწარმოებს, თუმცა კომისარი არის, რომელიც თავის მოგალეობათ თვლის ბაღში სიარულს და ხილის შინჯვას, დამწიფებულია თუ არა.

ხ. გ.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

სახალხო-სასურ. პრომისარ. სავაჭრო მეღვაწეობა*)

საქონლის გაცვლა-გამოცვლა მოსკოვთან.

სასურსათო სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ამირაგოვი გაემგზავრა ადერბეიჯანში სახალხო სასურსათო კომისარიატის სამრეწველოებიდან, რომელიც სასურსათო კომისარიატმა იჯარით მისცა ადერბეიჯანს, თეგზეულობის მოსკოვში გაზიდვის მოსაწესრიგებლათ, რკინის გზებთან სწარმოებს მოლაპარაკება საცივებელი მარშრუტების მოსაწყობათ. პირველი მარშრუტი თეგზით და ხიზილალით გაიგზავნება ერთი კვირის შემდეგ.

სასუოსათო კომისარიატს განზრახვა აქვს თეგზზე და ხიზილალაზე გადაცვალოს და გამოზიდოს მოსკოვიდან რუსული ფაბრიკატები.

*) იხ. „კომ.“ № 141.

აბრეშუმის პარაკის განაღდება 50 მილიარდ მანეთად.

სასურსათო სახალხო კომისარიატმა გაჭყიდა შარშანდელი მოსავლიდან კიდევ ერთი პარტია—4 ათასი ფუთი აბრეშუმის პაოკი. ნაღდი ანგაიშით, ბათუმში, უცხოეთის ვალიუტით. ქართული ბონებით ეს შეადგენს 50 მილიარდ მანეთს. პარკის გახაღდება და მისი პირობები იყო მიზეზი უკანასკნელ დღეებში უცხოეთის ვალიუტის კურსის დაცემისა.

პარკის გაყიდვით მიღებული სარგებელის ნაწილი დაუთიგდება გლეხებს იმათგან მიღებულ პარკის სამაგიეროთ, ნაწილიც იმათვე დაუთიგდებათ დახმარების სახით მიმდინარე პარკის კაპიტალისათვის, ხოლო ნაწილი მოხმარდება სასურსათო სახალხო კომისარიატის კომერციულ ოპერაციებს.

ამხ. დგებუაძის ხსოვნას

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარიატმა განიძრახა დაუვიწყარ ამხინაგ დგებუაძის რევოლიუციონურ მოღვაწეობის და ხსოვნის აღსანიშნავად უზრუნველყოს მამა მისი, მოხუცი, ყოველთვიურ დახმარების აღმოჩენით.

ამით არ განისაზღვრება პატივისცემა და ღირსეული შეფასება ამხ. ი. დ. დგებუაძისა.

ხსოვნა მისი, როგორც გულრწფელ ერთგულ მუშათა კლასის ინტერესების დამცველისა, დაუვიწყარი იქნება ყველა მათთვის, ვისაც ნამდვილად შესტკივა გული მშრომელ ხალხის ინტერესებისათვის.

ზედმეტი არ იქნება მოკლედ დასურათება ტრაღიკულ გარდაცვალებისა ამხ. დგებუაძის და მასთან 14 ამხანაგებისა, რომლებიც გახდნენ მსხვერპლნი მახნოს ვერაგულ თავდასხვისა.

1920 წელს, როდესაც რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა, გარშემორტყმული ყოველ მხრიდან კონტრ რევოლიუციონერებით მძიმე განსაცდელში იმყოფებოდა, როდესაც გენერალი ვრანგელი ლამობდა მუშების სისხლით მოარწყო დონის მაღაროები, პეტროგრადის კურსანტებს არ შეეძლოთ გულ-გრილად, შეხვედროდნენ ამ აღმაშფოთებელ ქცევას და მოითხოვეს წასვლა ვრანგელის საწინააღმდეგოო, რომ ამით მოესპოთ საშუალება ვრანგელისათვის მისი ჯოჯოხეთური ძრახვების განხორციელებისა.

კურსანტების სურვილი დაკმაყოფილებული იქნა, და შეადგინეს ერთი ბრიგადა კურსანტებისაგან, რომელიც გაგზავნეს ვრანგელის წინააღმდეგ.

ამ ბრიგადის პოლიტიკურ ხელმძღვანელად დანიშნული იყო ამხ. დგებუაძე, რომელიც პეტროგრადში იმყოფებოდა ცხენოსან სკოლის სამხედრო კომისრის თანამდებობაზე. სამი თვის შემდეგ, როდესაც ვრანგელი თავის ჯარით, განდევნილ იქნა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორია განთავისუფლებული ყოველი ჯურის კონტრ-რევოლიუციისაგან, ბრიგადა ისევ უნდა დაბრუნებულიყო ქალაქ პეტროგრადში, და მასთან ერთად ამხ. დგებუაძეც, მაგრამ საუბედურო შემთხვევამ არ მისცა საშუალება პეტროგრადის მოქალაქეებს ჭყოლოდათ რევოლიუციონურ მებრძოლთა რიგში ამხ. დგებუაძე და 14 ასეთივე ამხანაგი.

19 დეკემბერს ბრიგადის შტაბს თავს დაესხა ბანდიტი მაბნო ხუთასი ცხენოსანით და 14 ამხანაგთან ერთად ამხ. დგებუაძე დაჩეხილ იქნა.

ამ შემთხვევამ მგლოვიარობაში ჩაგდო პეტროგრადის მუშათა კლასი.

8 იანვარს ამხ. დგებუაძე და 14 ამხანაგი მასთან ერთად დაჩეხილნი, დასაფლავებულ იქნენ ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

ა. ბერეკაშვილი.

პარტიული ცხოვრება

ყველა რაიკომებს

ციკულიარულად

დებულება დამხმარე იაჩეიკების შესახებ.

1. დამხმარე იაჩეიკების მიზანს შეადგენს: პირველი: უპარტიო მუშების პოლიტიკური და იდეიური აღზრდა კომუნისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე, რომლითაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ამ ჟამად არ შეუძლიან დადგნენ კომპარტიის რიგებში; მეორე: უპარტიო მუშათა მხრივ მაქსიმალური დახმარების აღმოჩენა კომპარტიის ყველა დადგენილებებსა და დაწყებულ საქმეში.

2. დამხმარე იაჩეიკები შეძლების დაგვარად უნდა მოეწყოს ყველა საფაბრიკო საქარხნო წარმოებებში და უმთავრესად კი იქ სადაც დიდძალი მუშები არიან თავმოყრილნი.

3. დამხმარე იაჩეიკების წევრებათ შეიძლება იყვნენ მუშები და წითელარმიელები, საბჭოთა ხელისუფლების ერთგულნი, რომელნიც გულწრფელად არიან დაინტერესებულნი პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებაში.

შენიშვნა: დამხმარე იაჩეიკაში წევრად მიღებისათვის არ არის საჭიროებულო რეკომენდაციები. მაგრამ იაჩეიკის ყოველ წევრს ამტკიცებს კომიაჩეიკა.

4. დამხმარე იაჩეიკის თვითეული წევრის გამორიცხვის უფლება ეკუთვნის მხ ლოდ კომიაჩეიკას.

5. დამხმარე იაჩეიკები ასრულებენ ყველა დავალებებს და მინდობილობ-

ბებს კომიაჩეიკისას, ფრაქციისას, საქარხნო კომიტეტისას და რაიკომისას.

6. დამხმარე იაჩეიკები არ ირჩევენ თავის პრეზიდიუმს.

7. დამხმარე იაჩეიკების წევრები არ იხდიან საწევრო გადასახადს.

8. სამხედრო გაწვრთნა დამხმარე იაჩეიკების წევრებისა სავალდებულო არ არის; იგი სწარმოებს ნებაყოფლობითი სურვილის მიხედვით.

9. დამხმარე იაჩეიკების წევრებს პარტია არავითარ დოკუმენტებს არ აძლევს.

10. დამხმარე იაჩეიკების წ.-კითხვის უცოდინარი წევრები ვალდებულნი არიან გაიარონ წ.-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის კურსები, ხოლო პოლიტგანათლების სკოლაში ისინი შეძლების დაგვარად დაიარებიან.

11. დამხმარე იაჩეიკა გამოყოფს თავის წრიდან კორესპონდენტს,— „მუშათა გაზეთის“ ინფორმატორს.

12. დამხმარე იაჩეიკა, როგორც წესია, იკრიბება ორ კვირაში ერთხელ, კომიაჩეიკის პრეზიდიუმის წევრის მონაწილეობით, რომელსაც სპეციალურად აქვს დავალებული დამხმარე იაჩეიკის ხელმძღვანელობა და თვეში ორჯერ კომიაჩეიკასთან ერთად.

13. რაიკომის ინიციატივით შესაძლებელია მოწვეულ იქნეს დამხმარე იაჩეიკის წევრთა საერთო კრება.

14. მასიური კამპანიის ჩატარების დროს დამხმარე იაჩეიკამ უნდა გამოიჩინოს მაქსიმური ენერგიისა და ინიციატივისა, ხსენებულ კამპანიების რაც შეიძლება მეტი ნაყოფიერი შედეგების მიღწევის მიზნით.

15. ადგილობრივ, დამხმარე იაჩეიკა ეხმარება კომიაჩეიკას, საქარხნო კომიტეტებს და ადგილკომებს მათ პრაქტიკულ მუშაობაში.

16. პარტიაში ახალი წევრების მიღების დროს, პირველ რიგში მიიღებიან ამხანაგები დამხმარე იაჩეიკების წევრები.

თბილისის კომიტეტის მდივანი
კახიანი.

საორგანიზაციო განყოფილების
გამგე **რუბენი.**

პროფესიონალური მოძრაობა

საქართველოს პროფკავშირთა კლენუმი

კავშირებში საღამოს მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი ამხ. ოდილავაძე აღნიშნავს, რომ ეს საკითხი საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმში დადებითად გადასწყდა, მაგრამ ზოგიერთი კავშირები უარყოფითად შეხვდენ საღამოს მუშაობის შემოღებას. საღამოს მუშაობის შემოღების ერთ-ერთ მოტივათ იყო კავშირებში წევრების დასწრების გაძლიერების აუცილებლობა, რაც შეაძლებელი იქნებოდა მხოლოდ საღამოს საათებში.

პლენუმმა დაადგინა:

1. ყველა კავშირებში შემოიღოს საღამოს მუშაობა.

2. სამუშაო დროთ წესდება: ტეხნიკური პერსონალისათვის—9 საათ. 1 საათამდე და 6 საათიდან 8 საათამდე, ხოლო პასუხისმგებელ ამხანაგებისათვის 9 საათამდე. წარმოებათა დათვალიერება, და წევრების ცხოვრების ადგილობრივი პირობების დათვალიერება, ხოლო კრებები უნდა იმართებოდეს 8 საათის შემდეგ.

3. საფაბრიკო საქარხნო კომიტეტები მიმდინარე მუშაობას უნდა აწარმოებდენ სამუშაო დროს განმავლობაში, ხოლო კავშირებთან დამოკიდებულება უნდა იქონიონ საღამოობით, გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს ხშოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

მუშათა სახლის შესახებ.

სულ თბილისში 70-მდე იქნება მუშათა სახლი, აცხადებს მომხსენებელი ამხ. ელბაქიანი. საქართველოს პროფკავშირთა შრომის დაცვის განყოფილებამ დათვალიერა 57 სახლი და თითქმის ყველაში აღმოაჩინა: 1. ანტისანიტარული მდგომარეობა, 2. უყოლობა პატრონისა, ე. ი. დაწესებულების ორგანიზაციისა, რომელიც თვალყურს ადევნებდა სახლის მოვლა პატრონობას და 3. მცხოვრებთა შორის არა მომუშავე ელემენტების არსებობა.

მუშათა სახლებში სცხოვრობს 1113-მდე ოჯახობა, რომელთა საერთო რიცხვიც შეადგენს 4000 სულს, რაც შეადგენს თბილისის პროლეტარიატის მხოლოდ 3 პროც. საშვალოდ, 3 კაცისაგან შემდგარ ოჯახზე მოდის ერთ ნახევარი ოთახი.

დათვალიერებულ სახლებს შორის მხოლოდ ორს არ სჭირდება რემონტი, ერთს უმნიშვნელო რემონტი ეჭირვება. 15 მცირეოდენი, 35 საშუალო და 4 კაპიტალური.

საჭიროა სახლებს პატრონი მიუჩინოთ, ეს ორგვარი საშუალებით არის შესაძლებელი: უნდა გადავცეთ იგი ან სამეურნეო ორგანოებს ანდა კავშირებს. როდესაც კავშირები იღებენ თავის გამგებლობაში სახლებს, მათთან მაშინ ხელშეკრულებას სდებენ და ასეთ სახლებიდან ქალაქი არ იღებს გადასახადებს. მაგრამ ჯერ-ჯერობით დადებულ ასეთ ხელშეკრულებათა პროც. მცირეა.

არსებობს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც აბრკოლებს სახლების გადაცემას—ეს არის მუშათა სახლებში არა მომუშავე ელემენტების დაბინავება; აღსანიშნავია ამასთან ის, რომ ზოგიერთ სახლებში სცხოვრობს მუშათა მხოლოდ 20 პროც. ასეთ მცხოვრებთაგან მუშათა სახლების განთავისუფლების საკითხი დაუყონებლივ უნდა იქნეს გადაწყვეტილი და ენერგიული ზომები მიღებული. ამ საქმეში ჩვენ გვიხმარება ქალაქის აღმოსკომის პრეზიდიუმი.

გარდა ამისა მუშათა სახლებში ცხოვრობენ წარმომადგენლები არა მარტო სხვადასხვა წარმოებათა და დაწესებულებათა, არამედ სხვადასხვა კავშირის წევრებიც. რაც ხელს უშლის სამეურნეო ორგანოებს ნორმალურად გაუძღვეს სახლების მმართველობის საქმეს.

საჭიროა მუშათა სახლები გავანთავისუფლოთ მცხოვრებთა ამ კატეგორიიდანაც, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ ყველა კერძო სახლების საცხოვრებელი ადგილების 25 პროც, რაც გადადებულია მუშა-მოსამსახურეთა საჭიროებისათვის.

კამათში გამოირკვა, რომ მუშათა სახლების საკითხი უფრო ფართოდ უნდა დაისვას, საბინაო პოლიტიკის საერთო ფარგალში, რის გამოც ამხანაგების ერთმა ჯგუფმა შეიტანა წინადადება გადაედვას ეს საკითხი შემდეგი სხდომისათვის, რომელზედაც უფრო დეტალურად იქნება იგი განხილული. ეს წინადადება მიღებულ იქნა.

პროვინციაში

ს. გურძემი (სენაკის მაზრა)

სოფ. გურძემი დაშორებულია ქალ. ახალ-სენაკიდან 35 ვერსის მანძალზე. ერთი ნაწილი ამ სოფლის მცხოვრებლებისა ეკუთვნის თამაკონის თემს, ხოლო მეორე კიწის თემს. სამწუხაროდ დიდი ნაწილი მცხოვრებლებისა არიან მეტის-ბეტად კულტურულად ჩამორჩენილი და ყოველივე სტიქიურ მოვლენებს ისე უცქერიან ვითომც ეს იყოს „ღმერთის“ წარმოგზავნილი. ჩვენის ფიქრით სწორეთ ასეთ კუთხისაკენ უნდა იყოს მიქცეული მეტი ყურადღება, როგორც თემების, ისე სამაზრო მთავრობის მიერ. ასეთ მივარდნილ ადგილში უნდა შეტანილ იქნას მეტი განათლება. ყოველივე უბედურების დროს დახმარებაც უფრო აქეთკენ უნდა იყოს მიმართული. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავ საგანს შეადგენს ხსლხის ჯანმრთელობის დაცვა და ამიტომაც ის ყოველივე ეპიდემიის გავრცელების დროს გადამჭრელ ზომებს მიმართავს, მის აღმოსაფხვრელად, ისედაც ეკონომიურად ძნიმე პირობებში მყოფი მოქალაქენი გადარჩენილი იქმნენ მოსალოდნელი დაღუპვისაგან. სამწუხაროდ ზემო-აღნიშნული სოფლის მიმართ შეშურ-ბლეხურ მთავრობის ერთი მთავარი პრინციპი (სახეში მაქვს ჯანმრელობის დაცვა და ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლა) ვერ იქნა სავსებით დაცული. საქმე მდგომარეობს შემდეგში: სოფელ გურძემის ერთ პატარა კუთხეში, სადაც სახლობს დაახლოებით 40 მოსახლე, თავი იჩინა პარტახტიანმა ტიფმა, რომელიც შემთხვევათ თბილისიდან ჩამოსული წითელი არმიელის საშუალებით იქნა ჩამოტანილი. სენმა მიიღო ფართე ხასიათი. მაგალითად: სულ ტიფით ავათ გახდნენ 16 ოჯახი, ავადმყოფთა რიცხვი კი აღწევდა 36 კაცს და ქალს, გარდაიცვალა კი თოთხმეტი კაცი. სურათი ავადმყოფ ოჯახებისა მეტად საზარელი იყო. მაგალითად, ავათ არიან ოჯახის ყველა წევრები, საწოლი ქვეშაგები მათ არ გააჩნიათ საცვლებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, არც აქვთ საშვალება და, რაც უმთავრესია, სრულებით არ არის დაცული არავითარი ჰიგიენა. მართალია ზოგ-ავადმყოფ ოჯახებს ყავდათ რამოდენიმე სული შინაური საქონელისა, რომლის გაყიდვა შეიძლებოდა და მერე მისი ფულით წამლის შეძენაც, მაგრამ როდესაც თემის აღმასკომმა გასცა განკარგულება, არ მიეკაროთ ავადმყოფ ოჯახებსო, ცხადია მერე ვინღა მოკიდებდა ხელს საქონელს. თუ ვინმეს ფული ჰქონდა რეციპტს ვერავინ კიდებდა ხელს, რომ წამალი მოეტანა. კიდევაც რომ ყოფილიყო რაიმე საშვალება, ყველაზე უბედურება ის იყო, რომ არ იყო ისეთი კაცი, რომელიც ავადმყოფებს თავის დროზე მიაწოდებდა წამალს. იყო შემთხვევა, როდესაც ოჯახის ორი წევრა ერთად კვდებიან და არ არის კაცი, რათა ის იქნეს თავის დროზე დამარუხლი. თუ ზედ დაუმატებთ იმასაც, რომ ბევრ მათგანს ერთი ფუთი სმინდიც არ მოეპოვებოდა ოჯახში, მაშინ მკითხველი წარმოიდგენს იმ ჯოჯოხეთურ სურათს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ყველასგან მივიწყებულ სოფელში. ყველა ასეთ ცუდ პირობების შემდეგ თავის თავად ცხადია, რომ ეს საშინელი სენი შეუტევდა საწყალ ხალხს და კიდევაც გამოასალმა წუთი სოფელს სრულიად ჯანსაღი და ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე პირები.

ყველა ამის შესახებ რამოდენიმე-ჯერ ეცნობა სამაზრო ადმინისტრაციას, მაგრამ სამწუხაროდ ძალიან მცირე და უმნიშვნელო დახმარება იყო მათი მხრით. მართალია სამ. აღმასკომს მიეწერა ჯანმრთელობის განყოფილებისათვის, თავის მხრით კი ჯანმრელობის განყოფილებამ მისწერა იმ პუნქტის ექიმს, რომელსაც სოფ. გურძემი ეკუთვნოდა და მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ გამოგზავნილი იქნა ერთი ფერშალი, რომელმაც დაჰყო სოფელში ხუთი-ექვსი დღე, რის შემდეგ ისევ მიატოვა სოფელი და წავიდა თავის სახლში. წასვლის მოტივად მოყავდა ფერშალს ის, რომ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ის ვერ უზრუნველყვეს სათანადო სურსათ სანოვაგით, ავადმყოფ ოჯახებს ქონდათ სურვილი შეძლებისაგვარად მიეწოდებიათ სურსათ-სანოვაგე ფერშლისათვის, მაგრამ ამაზე ის არ დასთანხმდა, ვინაიდან მას ეშინოდა არ გადასდებოდა ავადმყოფობა. ამის შემდეგ, რასაკვირველია, სოფელი დარჩა უწმწო მდგომარეობაში. აღნიშნულ პუნქტის ექიმმა ერთხელ ჩამოიარა ავადმყოფი ოჯახები, რის შემდეგ ის თვითონ ავათ გახდა. მეორე საექიმო პუნქტი კი დაშორებულია სოფლიდან და იქ მყოფ ექიმს არ შეეძლო შესაფერისად ეწარმოებია ბრძოლა ეპიდემიასთან. მოკლედ, ასეთი იყო სურათი სოფელ გურძემში ეპიდემიის არსებობის დროს. ჩვენის ფიქრით აქ საჭირო იყო უფრო სასწრაფო ზომების მიღება, როლებსაც შეეძლოთ რეალური დახმარება გაეწია სოფლის ღარიბ ავათმყოფ ოჯახებისათვის. საჭირო იყო ერთი ექიმის და ფერშლის სპეციალურად მივლინება ამ რაიონში, სანამდის აქ არ გაჩრებოდა ეპიდემია, საჭირო იყო მასთან აუცილებლად წამლებით დახმარება. გადამეტებული არ იქნებოდა რამოდენიმე წყვილი საცვლების მოწოდებაც (ვინაიდან ამ მხრივ მეტად საზარელი სურათი იყო). მართალია ჩვენი მდგომარეობა რამოდენიმედ მძიმეა, მაგრამ ისიც ნათელია, რომ საბჭოთა მთავრობა ასეთ შემთხვევებში არა ფერს არ დაიშურებს და ის ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ თავის დროზე მოსპოს ყოველივე ის, რაც განადგურებას უქადის მოსახლეობას.

რაც მოხდა—ის მოხდა. მაგრამ მგონია შემდეგისათვის, ისეთ გულცივობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ სოფლის მიმართ ზოგი უმაღლეს ორგანოების მხრივ არ ექნება ადგილი და თავის დროზე მიღებული იქნება შესაფერი ზომები.

მეტი ყურადღების მიქცევა უღარიბეს მშრომელებს. კომუნისტური პარტია ერთად ერთი პარტიაა, რომელიც მკაცრად და ღირსეულად უტევს ყოველივე შინაური თუ გარეშე კონტრ-რევოლიუციას, ის აგრეთვე თავგანწირულად ებრძვის ყოველნაირ ეპიდემიას, ეს უნდა გვახსოვდეს სუყველას კარგად. დავიწყება ამისი კი იქნებოდა დანაშაული. აქვე უნდა აღვნიშნო შემდეგი: ყველა ჯურის კონტრ რევოლიუციონერები მასთან ერთად ზოგნი „ღვთის მსახურნიც“ (მღვდლები) ამ სენის მოვლენებას სულ სხვანაირათ ხსნიან, ისინი ამბობენ, რომ ყოველივე ეს არის კომუნისტური პარტიის დანაშაული, ვინაიდან მას დაივიწყეს ყოველგვარი სარწმუნოება. ყველა ასეთი არამზადები დაძრწიან სოფლებში და ხალხს ყურში ჩასჩიჩინებენ: მაგრად მოკიდეთ სარწმუნოებას ხელი, იწამე ღმერთი, ნუ დაუჯერებთ კომუნისტებსო და სხ. ერთი ღვთის მონა-მორჩილი (და „დიდ ამბროსის“ მარჯვენა ხელი (დეკანოზი კონდრატე ჩაჩიბაია), რომელიც ხალხს უნდა ასწავლიდეს თუ როგორ დაიღწიოს თავი ამ უბედურებისაგან, ნაცვლად ამისა ის სასაცილოდ იგდებს ამ ავათმყოფ კუთხეს და მას ირონიულად გურძემის ჭირს უწოდებს.

ყველა ამ ვაჟბატონების წყინაღმდეგ საჭირო არის სასტიკი ზომების მიღება, ვინაიდან ესენი მოსვენებას არ აძლევენ მშრომელ ხალხს. საჭირო არის პროლეტარიატის რკინის ხელებით ერთხელ და სამუდამოდ აილაგმოს ყველა ეს ნაძირალები. შორს მათი შხამიანი ენის სისინი!

ი. გულორდავა.

ღია გარათი

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს *)

გაზეთებში გამოქვეყნებულ ქრონიკის საშუალებით გაგებული გვქონდა, რომ ივნისის 25-ს, სახელმწიფო ოპერის თეატრში მწერალი გალაქტიონ ტაბიძე მართავს საღამოს.

რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი საღამო სრულიად ჩვეულებრივია და მწერლისათვის მას უმთავრესად მატერიალური მიზანი ამართლებს.

გალ. ტაბიძესაც, როგორც ერთ-ერთ მწერალს, (რომელსაც ბევრი ჩვენგანი კარგის თვალით უყურებს) რასაკვირველია, აქვს უფლება ასეთი საღამოები გამართოს, და როგორც მწერალთა კავშირი, ისე საზოგადოებაც მორალურად ვალდებულია დახმარება გაუწიოს მას.

მაგრამ, მე მინდა მიგითითოთ იმ საკანდალზე, რომელიც მოახდინა ამ საღამოს შესახებ გამოკრულმა აფიშამ, ქართულსა და რუსულს ენაზე, სადაც არშინიან ასოებით გამოცხადებულია, რომ იმართება „საქართველოს პოეტების მეფის, გალაქტიონ ტაბიძის“ საღამო. (Вечер короля поэтов грузій Г. Табидзе) აფიშაში ჩამოთვლილი მწერლები, რომელთაც საღამოში მონაწილეობა უნდა მიიღონ არიან უმთავრესად სრ. საქ. მწერალთა კავშირის საბჭოს წევრნი, ხოლო საღამოსა ჰხსნის ამავე კავშირის თავმჯდომარე კ. ნაყაშვილი.

რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი მართავს ოფიციალურ საზეიმო საღამოს, რომელზედაც აწესებს „დინასტიას“ და მეფობის ტიტულს აძლევს „რამოდენიმე კარგი ლექსის ავტორს“. ეს მაშინ, როდესაც ქართულ მწერლობასა და განსაკუთრებით პოეზიას, ახლოვს თავის მნათობთა მაღალი სახელები, რომელნიც უგვირგვინოდ ჩასულან საფლავს და ისტორიასაც არ მოსვლია აზრად ასეთი აბსურდი, რომ მათთვის მეფობის მარკა მიეცა.

*) მიუხედავათ წერილის კილოს სიმკაცრისა, ჩვენ საშუალებას ვაძლევთ ქართველ მწერალთა ერთ ჯგუფს, რომლის სახელით ვამოწმის მოქ. ფაშალიშვილი, გამოთქვას თავისი აზრი.

რედაქცია.

ისინი მეფობენ იმდენად, რამდენადაც მეფობს ქართული პოეზია.

ეხლა კი, ამ გამოსვლას ეძლევა რაღაც იაფი, ცირკის ხასიათი, რომელიც შეურაცყოფს ქართული ლიტერატურის ღირსს, და ეს ხდება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თვალწინ და მისი სახელითაც.

თუ ეს ასეა და ამ სასკანდალო საქმის მწერალთა კავშირის საბჭო ხელმძღვანელობს, მაშინ სრულიად სამართლიანად მიმაჩნია ის აღშფოთება, რომელიც გამოიწვია ასეთი განცხადების გამოქვეყნებამ, როგორც ქართველ მწერლებში, ისე საზოგადოებაში.

უნდა მოგახსენოთ, რომ მე, როგორც მწერალთა კავშირის წევრი, ვესწრებოდი და მონაწილეობას ვიღებდი სრულიად საქართველოს მწერალთა ყველა კონფერენციაში, სადაც მუდამ ირჩეოდა წმინდა საორგანიზაციო-პროფესიონალური საკითხები და ყველა საბჭოთათვის კონფერენციის მიერ მიცემული დირექტივები არ გასცილებია ამ ფარგლებს. (ყოველ შემთხვევაში, არც ერთ კონფერენციას არ მოსვლია ისეთი სულელური აზრი, რომ საბჭოსათვის მიეცა ინსტრუქცია მეფეების დანიშვნისათვის.)

ასევე იყო უკანასკნელ კონფერენციაზედაც, რომელმაც თქვენ აგირჩიათ საბჭოს წევრებად, რომელთა რიცხვში პერსონალურად შემოყვანილ იქნა აგრეთვე გალ. ტაბიძეც.

ამიტომ მწერალთა ერთი ჯგუფის სახელით გეკითხებით: თუ მართლა საბჭოს რაიმე კავშირი აქვს ხსენებულ საღამოსთან და იგი აპირებს ამ „დაგვირგვინებას“, რომელი სტატუტის მიხედვით ხელმძღვანელობს და რა მიზანი აქვს მას ასეთი „დინასტიის“ დაწყებით?

ხოლო თუ ეს შანტაჟი კერძო, უპასუხისმგებელო პირისაგან ხდება, რა ზომებს ღებულ მწერალთა კავშირის საბჭო თავისი შეურაცყოფილი სახელის აღსადგენად და ასეთი კრიმინალური ტიპის თავის წრიდან განსადევნათ?

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი **ხ. ფაშალიშვილი.**

ტფილისი, 24 ივნისი.

წერილი რედაქციის მიმართ

ვინაიდან საზოგადოებაში ხმა დადის თითქოს გალაქტიონ ტაბიძის საღამო (რომელიც იმართება დღეს საოპერო თეატრში) ეწყობა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს მონაწილეობით, საბჭო იძულებულია განაცხადოს, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამ საღამოსთან. საღამო იმართება კერძოდ გ. ტაბიძის ინიციატივით.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება ესე დამტკიცებულია საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის ივნისის 16 ს.

დადგენილება.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა საბინაო ქირის ტარიფიკაციის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა 1922 წ. ივნისის 16 თარიღითა და მე-9 №-ით გამოცემული დეკრეტის მე 6 მუხლის შესასრულებლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ადგენს.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა ქალაქები და დასახელებული პუნქტები ბინის ქირის მხრივ განიყოფიენ,—მათი ტერიტორიისა, მცხოვრებთა რაოდენობისა და წესიერი მოწყობილობის მიხედვით, სამ კლასად:

2. 1-ლ კლასს ეკუთვნის ქალაქები: თფილისი, ბათომი, ქუთაისი და ფოთი.

3. მე 2-ე კლასს ეკუთვნის ქალაქები: სიღნაღი, თელავი, დუშეთი, გორი, ხაშური, სურამი, ბორჯომი, ახალციხე, ახალქალაქი, ზესტაფონი, ჭიათურა, სამტრედია, ონი, ხონი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, სენაკი და ზუგდიდი.

4. მე-3-ე კლასს ეკუთვნის საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ყველა დანარჩენი დასახლებული ადგილები.

შენიშვნა: საკურორტო ქალაქებისა და დასახლებული ადგილებისათვის, აგრეთვე კლიმატიური სადგურებისათვის ამ დადგენილებაში ნაჩვენები ქირის ნორმები ვრცელდება მხოლოდ ადგილობრივ მოქალაქეებზე, რომელნიც აქ მუდმივად სცხოვრობენ. სამკურნალოდ ან დასასვენებლად ჩამოსულ მოქალაქეებისათვის, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ სეზონში, საბინაო ქირის ტარიფის ცალკე იქნება დადგენილი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალური განყოფილების მიერ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებთან ერთად.

5. საბინაო ქირას აწესებს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის კონუნალური განყოფილება,—საცხოვრებელი შენობების მოწყობილობისა და მდებარეობის რაიონის ღირსების მიხედვით,—გამოსაყენებელი სივრცის თვითეულ კვადრ. არშინზე, რომელიც უჭირავთ პირველი კატეგორიის პირთ და მათი სარჩენი ოჯახის წევრთ,—თითო სულზე 25 კვ. არშინის ნორმის ფარგლებში.

1-ლი კატეგორიის პირთათვის თვიურად 1 კვადრატ. არშინზე:

ა) 1-ლ კლასის ქალაქებში არა უმეტეს 1.500 მანეთისა.

ბ) მე-2 კლასის ქალაქებში არა უმეტეს 1.000 მანეთისა.

გ) მე-3 კლასის ადგილებში არა უმეტეს 750 მანეთისა.

შენიშვნა: ამა დადგენილების მე-5 ე მუხლში დაწესებული ქირის ტარიფიკაციის ნორმების გადიდება შეიძლება მოხდეს მხოლოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალური განყოფილების მიერ მათი გადასინჯვის გზით და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით.

B საბჭოთა დაწესებულებებისა და წარმოებების კონცელარიისათვის დაქირავებულ საცხოვრებელ შენობებში სახლის პატრონთან ან სახლის გამგესთან შეთანხმებით თვეში თითოეულ კვად. არშინზე:

ა) 1-ლი კლასის ქალაქებში არა უმეტეს 3.500 მან.

ბ) მე-2-ე კლასის ქალაქებში არა უმეტეს 3.000 მან.

გ) მე-3-ე კლასის ადგილებში არა უმეტეს 2.500 მან.

6. ძირითად საბინაო ქირას მიემატება:

ა) საბანებელ ოთახზე 3 პროც.;
ბ) სადარბაზო შესასვლელზე 3 პროც.;
გ) შუშაბანდზე 3 პროც.; დ) სამზარეულოზე 3 პროც., თუ ბინას აქვს ამგვარი რამ.

შენიშვნა: სავლელი ოთახი, რომელიც მხოლოდ აერთებს ბინის ერთ ნაწილს მეორესთან, შეფასდება როგორც შუშაბანდი, ხოლო თუ შეიძლება იგი საცხოვრებლად იქნეს გამოყენებული, ან სასადილოდ, ან ავეჯეულობის დასაწყობად და სხვ. ამისთ. შეფასდება როგორც საცხოვრებელი სადგომი.

შენიშვნა 2: სარდაფის ან ნახევრად სარდაფის სართულებში საბინაო ქირა 50 პროცენტით შემცირდება.

7. ზედმეტი სივრცე, რომელიც მუშა-მოსამსახურეს ნორმის გარეშე 25 კვ- არშ. უჭირავს,—შეფასდება ერთი ორად.

8. ის პირნი, წარმოებანი და დაწესებულებანი, რომელნიც მე-5 მუხლში ნაჩვენებ კატეგორიებს არ ეკუთვნიან, გადაიხდიან [illegible] სადგომების ქირას [illegible] ხმებით სახლის პატრონთან.

9. თბილისში 1 კატეგორიის მდგომარეობა (მუხ. 5—B), აგრეთვე საბჭოთა წარმოებებმა და დაწესებულებებმა (მუხ. 5—B) ბინის ქირა უნდა გადაუხადონ სახლის პატრონს 1922 წ. აპრილის 1 დან; მე-2 კატეგორ. მდგმურებმა კი (მუხ. 8) 1921 წ. ნოემბ. 1-დან; მე-2 კატეგორიის მდგმურები 1922 წლის აპრილის 1 დე ქირას გადაიხდიან თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის 50 № ის გრძანებაში აღნიშნული განაკვეთის თანახმად; ხოლო აპრილის 1-დან სახლის პატრონთან შეთანხმებით.

10. ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ძალა ეკარგება ყველა ამ საგანზე გამოცემულ დადგენილებას.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ვეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

კომუნალური განყოფილების გამგე **ციდამონიშვილი.**

სარედაქციო კოლეგია.

საექიმო-სასანიტარო პროფკავშირის აფთიაქებში მომუშავეთა სექციის ბიურო მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს 17 საბჭ. აფთიაქის თანამშრომლის, ფარმაცევტი ქალის

მარიამ (საშიკო) ალექსანდრეს ასულის სულაქველიძის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას.

გამოსვენება კვირას 25 ივნისს, დილის 10 საათზედ, ბინიდან (ნაძალადევი, აფანასიევის ქ. № 46 დიდუბის სასაფლაოზედ. 1—1

21 ივნისს ტრაღიკულად გარდაიცვალა ფარმაცევტკა

მარიამ (საშიკო) ალექსის ასული სულაქველიძე

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგ-მეგობრებს და ნაცნობთ: გარდაცვალებულის მამა—ალექსი პავლეს ძე, ძმები: პლატონი და კონსტანტინე ალექსის ძენი, რძლები: მარიამ ანდრიას ასული და რიასა ალექსანდრეს ასული, ძმის წულები: ამირანი და თამარა. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, ცხედარის გამოსვენება, კვირას 25 ივნისს დილის 10 საათზე, საკუთარ სახლიდან (ნაძალადევი, ათანასის ქუჩა № 46) დიდუბის ეკლესიაში. იქვე დაკრძალვა. 2—2

ზელის მომწერთა საყურადღებოდ

ფულის დაგვიანებით მიღებისა და გაზეთების გზავნის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად, გაზეთის ტ რ ე ს ტ ი ს მთავარი კანტორა იღებს ხელის მოწერას ივლისის და შემდეგი თვეებისათვის.

ხელის მოწერა მიიღება **თბილისის და ბათუმის** ყველა გაზეთებზე.

ხელის მოწერის ფასი — ძველია.

ვინც 30 ივნისამდე არ მოაწერს ხელს, მათ მოესპობათ გაზეთების გზავნა 1 ივლისიდან.

0—4

ნაბინაო კანონი

გამოცემულია ცალკე ფურცლად და იყიდება ყველა მეგაზეთეებთან.

ფასი 10.000 მანეთი ეკზემპლიარი

3—2

საჯარო ვაჭრობა

კვირას, ივნისის 25-ს, შუადღის 12 საათზე

სახალხო სასურსათო კომისარიატის ცენტრო-საწყობის შენობაში

(ელისაბედის ქუჩა № 133)

გაიყიდება თავისუფალ ფასებში საჯარო ვაჭრობით

სხვა და სხვა ნახმარი საგნები შემდეგ განყოფილებებიდან: ფართლეულისა, სურსათისა, სატეხნიკო და ჭურჭლეულისა, მათ შორის: ნაბადი-ჩული, ქუდები, შინელები, ხალათები, პირსახოცები, წინდები, თავწასაკრავი, ტუფლები, ტომრები, რძე ფხვნილად, ნაფტალინი, კაკალი, სპარსული ფხვნილი, საკმელი, მწვანე საპონი, ყავა, სვია, სიჩაიები, ბაკები, ქაღალდი, ჯამები, ტაზები, კრუშკები, ბიდონები, რკინეული და რკინეულის სხვა და სხვა ნაწარმოები, ნახმარი მარილი, სასწორები, ტყავისა და ნაბდის საგნები, ფეხსაცმელი, საოფლე, ხარის ტყავები და სხვა.

დაწვრილებით სია გასაყიდ საქონელისა მის პირვანდელ შეფასებით ცენტრო საწყობში ინახება.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, შეაქვს საწინდრად 10 პროც. შეფასებულ ღირებულებისა. 2—2

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი

ვეტერინარ ბაქტეორილოგიურმა ლაბორატორიამ დაამზადა

ციმბირის ჭირის (Сибирская язва) საწინააღმდეგო 1 და 2 ვაქცინები

დოზა ვაქცინისა ღირს 5.000 მანეთი.

ლაბორატორია აწარმოებს ყოველგვარ

დიაგნოსტიურ გამოკვლევებს

(ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულს)

აქვე შეიძლება შეძენა გამოხდილი (Дистилированная) წყალისა.

კობის ქუჩა № 9. 5—5

ტირაჟი 10,000. ნ. დ. ს. ც. საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტეინის ქ. № 4.